პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 287 (5388) | შაბათი, 17 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ჩვენი დროის დიდი მფრინავი („პრავდის“ მოწინავე)
ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი (1-ლი და მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვ.)
წითელდროშოვანი „ეპრონი“ (მე-3 გვ.)
აბაშის მტს-ში ტრაქტორების რემონტს აჭიანურებენ (მე-3 გვ.)
მზადება მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის (მე-3 გვერდი)
დ. სულიაშვილი — წყალტუბო (ფელეტონი. მე-3 გვ.)

უცხოეთში:
ჯამათი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ (მე-4 გვ.)
ინგლისის თემთა პალატაში (მე-4 გვ.)
ესპანეთის დელეგაციის წევრები საზღვაო კავშირის შესახებ (მე-4 გვ.)
ჩეხოსლოვაკიის დეპუტატთა პალატის მდლევარი სხდომა (მე-4 გვ.)
საზღვარგარეთ (მე-4 გვ.)

ჩვენი დროის დიდი მფრინავი

გუშინ, ახალი თვითმფრინავის გამოცდის დროს, დაიღუპა ვალერი ჩკალოვი. უაზრო შემთხვევამ შესწყვიტა საბჭოთა ხალხის ერთერთი შესანიშნავი შვილის სიცოცხლე. დაიღუპა ჩვენი დროის დიდი მფრინავი, რომლის სახელი გმირობისა და ვაჟკაცობის სინონიმი იყო.

ვალერი ჩკალოვი უმამაცესი იყო მამაცთა შორის. საბჭოთა მფრინავებს შორის იგი უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა, როგორც თავისი საქმის უბადლო ოსტატი. მთელ საბჭოთა ხალხში იგი ფრიად ფართო პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა, როგორც სახალხო გმირი, როგორც სახელოვანი საბჭოთა პატრიოტი, როგორც სტალინის მიერ გამოზრდილი გულადი ადამიანი.

ვალერი ჩკალოვმა, რომელიც დაიბადა ვოლგის მხარეში, ქ. გორკის მახლობლად, თითქოს შეიწოვა დიდი რუსი ხალხის ყველა მშვენიერი თვისება. რკინის ძალა იგრძნობოდა მის განიერ მხარბეჭში, მძიებელი და ცოცხალი იყო მისი გონება, ურყევი იყო მისი ენერგია, შეუდრეკელი იყო მისი ნებისყოფა. მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მან მთლად შესწირა თავის სამშობლოს, სოციალიზმის საქმეს. მუშის შვილი და თვითონაც მუშა, ის თხუთმეტი წლისა მოხალისედ შევიდა წითელი არმიის რიგებში, იმ სურვილით აღგზნებული, რომ შეემუსრა მუშათა კლასის და მთელი მშრომელი ხალხის მტრები. გამარჯვებული ხალხის შვილს, ვალერი ჩკალოვს შეეძლო აერჩია ცხოვრების ყოველი გზა, ყოველი პროფესია. მან აირჩია ის პროფესია, რომლისადმი გრძნობდა უსაზღვრო მისწრაფებას, — იგი მფრინავი გახდა. მამაცობამ, ვაჟკაცობამ, ენერგიამ, რითაც იგი დაჯილდოებული იყო, თითქოს წინასწარ განსაზღვრეს მისი ცხოვრების გზა. მფრინავის პროფესია სწორედ იმ თვისებებს მოითხოვდა, რომლებიც სრულად გააჩნდა ვალერი ჩკალოვს. იგი შეუპოვრად მუშაობდა თავის თავზე, განუწყვეტლად იმაღლებდა კვალიფიკაციას, დაუღალავად სწვდებოდა საავიაციო მანქანების ყველაზე იდუმალ დეტალებს და, ამგვარად, მალე საბჭოთა კავშირის ერთერთი საუკეთესო პილოტი გახდა. ვალერი ჩკალოვმა, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში მფრინავ-გამომცდელი იყო, ზედმიწევნით შეისწავლა სულ სხვადასხვა კონსტრუქციის ათეული მანქანები და მიმოიფრინა ამ მანქანებით.

განსაცვიფრებელმა ძირდაუშვებელმა გადაფრენამ სტალინური მარშრუტით — მოსკოვი — კუნძული უდი (ამჟამად კუნძული ჩკალოვი), რაც ვალერი ჩკალოვმა მამაც მეგობრებთან, ბაიდუკოვთან და ბელიაკოვთან ერთად მოახდინა, მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ჩკალოვს. საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარულმა, საბჭოთა მთავრობის მაღალმა ჯილდომ ფრთები შეასხა ჩკალოვსა და მის ამხანაგებს, ახალი ენერგია შემატა მათ. მოსკოვში დაბრუნებისას ვალერი ჩკალოვი საავიაციო ქარხნების მუშათა მიტინგზე ამბობდა:

„ეკიპაჟი მზად არის პოლარულ დღეს კი არა, პოლარულ ღამეს კიდევ განიმეოროს სტალინური მარშრუტი. თუ ჩვენ 56 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ გვინათებდა მზე, პოლარულ ღამეშიც განათებული იქნება ჩვენი გზა, იმიტომ, რომ ჩვენ ამხანაგ სტალინს მივყევართ. ხოლო სადაც სტალინია, იქ სიბნელე არ არის—იქ კაშკაშა მზეა!“

ნამდვილი ოსტატობა განუწყვეტელ მუშაობას მოითხოვს სრულყოფის მისაღწევად. ნამდვილი გმირი, სჩადის რა გმირობას, ახალ საგმირო საქმეებზე ფიქრობს. სტალინური მარშრუტით გადაფრენიდან 11 თვის შემდეგ ვალერი ჩკალოვმა და მისმა ეკიპაჟმა მოახდინეს ახალი ბრწყინვალე გადაფრენა—პოლუსით ამერიკაში.

დიდი რუსი მეცნიერი და პოეტი მიხეილ ლომონოსოვი ოდესღაც სწერდა:

„Колумбы российские, презрев
угрюмый рок.
Меж льдами путь отворят
на Восток,
И наша досягнет в Америку
держава“.

ვალერი ჩკალოვი პირველი იყო, რომელმაც განახორციელა დიდი ლომონოსოვის ოცნება. ტრანსარქტიკული გადაფრენის პიონერებმა ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა, აღტაცებაში მოიყვანეს რა თავისი გმირობითა და სიმამაცით მთელი მსოფლიო, მსოფლიოს ყინულოვან სახურავს გადაუქროლეს და 63 საათსა და 25 წუთში დაჰფარეს დედამიწის გზის 10.000 კილომეტრზე მეტი მანძილი.

ვალერი ჩკალოვი ტრანსარქტიკული გადაფრენის პიონერი იყო, მან თავის ეკიპაჟთან ერთად პირველმა გადალახა პოლარული სივრცეების დაბრკოლებანი, რომლებიც დაუძლეველად გვეჩვენებოდა. მის შემდეგ გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა ჩაატარეს მეორე ტრანსარქტიკული გადაფრენა და ერთხელ კიდევ დაანახვეს მთელს მსოფლიოს საბჭოთა პილოტების მაღალი ოსტატობა.

ვალერი ჩკალოვი თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს ნამდვილი საყვარელი ადამიანი იყო. წიგნში „ჩვენი ტრანსპოლარული რეისი“ ჩკალოვმა აღწერა თავისი საუბარი ერთერთ ამერიკელ მილიონერთან გემ „ნორმანდიაზე“.

„თქვენ მდიდარი ხართ?“—მკითხა მილიონერმა. „დიახ, ძალიან მდიდარი ვარ“,—ვუპასუხე მე. „რით გამოიხატება თქვენი სიმდიდრე?“. „170 მილიონით“. „170!!! რა — მანეთი თუ დოლარი?“ „არა, 170 მილიონი კაცი, რომლებიც ჩემთვის მუშაობენ, ისევე როგორც მე ვმუშაობ მათთვის!“

ჩვენი სახალხო გმირების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ზურგსუკან დგას მთელი ჩვენი მძლავრი ქვეყანა, მათ ზურგსუკან დგას ლენინ-სტალინის დიადი პარტია, მათ ზურგსუკან დგას სოციალისტური წყობილების ორგანიზებულობა და ძლიერება. ეს მშვენივრად ესმოდა ვალერი ჩკალოვს — თავისი ხალხის ერთგულ შვილს, თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს, სტალინის, — საბჭოთა პილოტების მამის და მეგობრის მიერ გამოზრდილ მამაც ადამიანს.

ერთი წლის წინათ გორკის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა თავისი სახელოვანი თანამემამულე ვალერი ჩკალოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მათ იცოდნენ, რომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ღირსეულთა შორის ღირსეულს ჰგზავნიან. მათ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის გმირი ვალერი ჩკალოვი ღირსეულად ატარებს ხალხის რჩეულის მაღალ სახელწოდებას.

ჩკალოვმა თავის ამომრჩევლებს განუცხადა:

„პირობას გაძლევთ, ძალღონის დაუზოგავად ვიმუშაო საყვარელი სამშობლოს და მისი შესანიშნავი საჰაერო ფლოტის სასახელოდ. პირობას გაძლევთ, მთელი ჩემი ძალღონე მოვახმარო იმას, რომ ჩირქი არ მოვცხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მაღალ სახელწოდებას, არასოდეს არ „ვითამაშო“, არ გადავუხვიო სწორ ლენინურ-სტალინურ გზას, არ დავივიწყო, რომ დამოკიდებული ვარ ხალხზე, ამომრჩევლებზე.

აქედან კი თავისთავად გამომდინარეობს, რომ მე ვიბრძოლებ ხალხის მტრების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით და გამოვიჩენ მებრძოლი გამანადგურებელი მფრინავის ოსტატობას, თუ ომის ფაშისტი გამჩაღებლები გაბედავენ და თავს დაესხმიან ჩვენს საყვარელ სამშობლოს. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ მტრები საქმით დარწმუნდებიან, რომ ჩკალოვები, გრომოვები, ბაიდუკოვები და იუმაშევები საბჭოთა ქვეყანაში გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ეს მათ წარმოუდგენიათ“.

ხალხის დეპუტატის საზეიმო ფიცს ვალერი ჩკალოვი ურღვევად ასრულებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ვალერი ჩკალოვი აღარ არის ჩვენს შორის. უდიდესი მწუხარებით შეხვდა საბჭოთა ქვეყანა მისი უდროოდ დაღუპვის ამბავს.

გულში ატარებენ რა ვალერი ჩკალოვის გმირულ სახეს, საბჭოთა მფრინავები, ამაყი სტალინური შევარდნები, დაუღალავად განამტკიცებენ საბჭოთა ავიაციის, მსოფლიოში უძლიერესი ავიაციის ძლევამოსილებას. გულში ატარებენ რა ვალერი ჩკალოვის გმირულ სახეს, საბჭოთა ინჟინრები და კონსტრუქტორები კიდევ უფრო სრულყოფილ მანქანებს შექმნიან, რათა ჩვენს მამაც მფრინავებს შეეძლოთ იფრინონ ყველაზე უფრო მაღლა, ყველაზე უფრო შორს და ყველაზე უფრო სწრაფად. გულში ატარებენ რა ვალერი ჩკალოვის გმირულ სახეს, ჩვენი ადამიანები შეუპოვრად და დაჟინებით ისწავლიან საფრენოსნო ხელოვნებას იმისათვის, რომ მაღლა ეჭიროთ შეუდარებელი საბჭოთა ავიაციის დროშა და საჭირო მომენტში, სტალინური ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ მტერს.

საბჭოთა კავშირის საავიაციო ძლიერების განუხრელად განმტკიცება ჩვენი დროის დიდი მფრინავის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის საუკეთესო ძეგლია.

საბჭოთა ხალხი, მწუხარებას გამოსთქვამს რა მძიმე დანაკლისის გამო, თავის საბრძოლო დროშებს ხრის გმირის ნეშტის წინაშე. ვალერი ჩკალოვი მოკვდა, მაგრამ მისი ხსოვნა მარად ცოცხალი დარჩება. სამუდამოდ დარჩება სახელი მისი საგმირო საქმეებისა! მუდამ ბრწყინვალე დარჩება მისი ლეგენდარული სახელი!

„პრავდის“ მოწინავე 16/XII.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ დაამტკიცა ამხ. ვ. ნ. მერკულოვი.

○

სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის სავაჭრო მოლაპარაკების საწარმოებლად მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ლიხოვსკი.

ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი

ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი

აღარა გვყავს ვალერი ჩკალოვი — ჩვენი სამშობლოს ერთერთი საუკეთესო შევარდენი. მთელმა საბჭოთა ხალხმა და კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი დანაკლისი განიცადეს. წითელმა არმიამ ბრიგადის მეთაურის ჩკალოვის სახით დაჰკარგა თავისი ერთერთი საუკეთესო და ერთგული მებრძოლი, უშიშარი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი.

ჩკალოვის სახე — ეს არის თამამი ნებისყოფა, კონცენტრირებული ძალა, უშიშრობა, ცოდნა და ბოლშევიკური შეუპოვრობა. ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვმა თავისი არსებით გამოჰხატა ყველა საუკეთესო თვისება საბჭოთა მოქალაქისა, რომელიც ხალხის წიაღიდან ამაღლდა და გაიზარდა სტალინურ ეპოქაში.

ურომსცემელი, ცეცხლფარეში, წითელი არმიის მოხალისე, ბორტმექანიკოსი და, ბოლოს, მფრინავი-გამომცდელი. თანდათანობით ეუფლებოდა ჩკალოვი რთულ საავიაციო ტექნიკას. იგი არასოდეს არ ჩერდებოდა მიღწეულზე. მფრინავ-გამომცდელის პოსტზე იგი სწავლობდა უმაღლეს პილოტაჟს, ეუფლებოდა სროლისა და ყუმბარტყორცნის უმაღლეს სკოლას.

ჩკალოვი მარტო მფრინავი როდი იყო, ის იყო ახალი თვითმფრინავების შემქმნელი. მისი ხელი ჰმართავდა სხვადასხვა კონსტრუქციის 70 მანქანას. სარისკო და რთულ გაფრენებში იგი ეძებდა ახალი მანქანების დეფექტებს, რათა თავისი ავტორიტეტული მითითებებით დახმარებოდა კონსტრუქტორებს მიეცათ ქვეყნისათვის საიმედო საბრძოლო თვითმფრინავები.

ცდიდა რა თვითმფრინავებს, ჩკალოვი ყოველდღიურად ეცნობოდა მათ იმ მიზნით, რათა ისინი მთლიანად გამოეყენებინა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ფლოტს. ცოტა მფრინავი-გამანადგურებელი როდი აღზარდა ჩკალოვმა, ისეთი მფრინავები, როგორიც თვით იყო.

ფრენა ყველაზე უფრო მაღლა, ყველაზე შორს და ყველაზე ჩქარა—ეს მითითებები იყო ძირითადი ჩკალოვის მუშაობაში.

მთელს საბჭოთა ხალხს, მთელს წითელ არმიას მხურვალედ უყვარდათ ჩკალოვი. ამაყობდნენ მისი უშიშრობით, გამბედაობით, მამაცობითა და სითამამით. ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის სახელი ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორს მის საზღვრებს გარეთაც. მის გმირობას ტაშს უკრავდა მთელი მსოფლიო.

„მე ხელში მეკავება თვითმფრინავის შტურვალი მანამდე, სანამ ჩემს მაჯაში არის ძალა, ხოლო თვალი ჰხედავს დედამიწას“. ასე უთხრა ერთხელ ვალერი პავლეს-ძემ ამხანაგ სტალინს.

ჩკალოვს იზიდავდა დედამიწის გამოუკვლეველი ადგილები. მთელს მსოფლიოს ახსოვს 1936 წელს ჩკალოვის მიერ შესრულებული გრანდიოზული რეისი სტალინური მარშრუტით, ამხანაგ სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

შემდგომ წელს—1937 წელს — ლენინ-სტალინის პარტიის მიერ გამოზრდილი უშიშარი ადამიანი სათავეში ჩაუდგა იმ ეკიპაჟს, რომელმაც ავიაციის ისტორიაში პირველი გადაფრენა მოახდინა მოსკოვიდან ამერიკაში ჩრდილოეთის პოლუსზე გადავლით.

სამმა ორდენმა დაამშვენა საბჭოთა კავშირის გმირის ვალერი ჩკალოვის მკერდი მამაცობისათვის, ვაჟკაცობისათვის, დიდებული საფრენოსნო ხელოვნებისათვის.

ვალერი ჩკალოვის გმირობანი შევიდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლების თამამ ძიებათა ისტორიაში და მიეკუთვნენ მე-20 საუკუნის უდიდეს მიღწევათა რიცხვს.

ვაჟკაცობით, მამაცობით, გამძლეობით, სიმშვიდით, დაჟინებითა და ოსტატობით — ყველა ამ თვისებით იყო აღჭურვილი ვალერი ჩკალოვი. გამომცდელ-მფრინავის ყოველდღიური მუშაობა, გაბედული ოცნება შორ და ძირდაუშვებელ გადაფრენებზე და მათი შეუპოვარი განხორციელება—ყოველივე ეს შეხამებული იყო მასში.

ჩკალოვს, როგორც სამშობლოს საუკეთესო შვილს, ლენინ-სტალინის პარტიის მიერ გამოზრდილს, მისთვის თავდადებით ერთგულს, ერთერთს უშიშარ სტალინურ შევარდენს მხურვალედ უყვარდა თავისი მშვენიერი სამშობლო და მთელ თავის ენერგიას ახმარდა მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს.

თვითეულ საბრძოლო მანქანაში, რომლითაც საჰაერო ფლოტის მებრძოლები იცავენ ჩვენს სამშობლოს, ჩაქსოვილია ხალხის წიაღიდან გამოსული, ჩვენი ქვეყნის საყვარელი ამ ადამიანის ენერგიის ნაწილი.

აი რატომ სარგებლობდა ვალერი ჩკალოვი საბჭოთა ხალხის, მთელი ქვეყნის, ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ასეთი უდიდესი სიყვარულით.

აი რატომ უყვარდათ განსაკუთრებულად ჩკალოვი მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს. ისინი ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებენ დაუვიწყარი ვალერი ჩკალოვის — საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მფრინავთა სტალინური კოჰორტის საუკეთესო წარმომადგენლის, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის შესანიშნავი მებრძოლის სახელს.

ამაყი შევარდნის ჩკალოვის, თამამი, უშიშარი მფრინავის სახე მაგალითი იქნება წითელი არმიის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისათვის. ისინი ისე გაბედულად და გმირულად დაჰკრავენ მტერს, როგორი გაბედულებითაც და მამაცობითაც ჩკალოვი იპყრობდა საჰაერო სივრცეებს.

მძიმეა ის დანაკლისი, რომელიც განიცადეს საბჭოთა მფრინავების ოჯახმა, საბჭოთა ხალხმა, რომელთაც უყვართ თავისი სტალინური შევარდნები.

უკანასკნელ წუთამდე ჩკალოვს, საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოქალაქეს, ხელიდან არ გაუშვია საბრძოლო თვითმფრინავის შტურვალი, უკანასკნელ წუთამდე იგი პატიოსნად ემსახურებოდა თავის სამშობლოს, რომელიც არასოდეს არ დაივიწყებს ნამდვილი ბოლშევიკის —სახალხო გმირის მომჯადოვებელ სახეს. ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვმა აღზარდა ათასობით შესანიშნავი საბჭოთა მფრინავები—ამაყი შევარდნების ჩკალოველთა თაობა, რომელთაც უყვართ თავიანთი სამშობლო, რომლებიც ერთგულნი არიან სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისა.

მშვიდობით, საბჭოთა ხალხის საყვარელო ადამიანო. მშვიდობით, ამხანაგ სტალინის საყვარელო ადამიანო, მშვიდობით, ჩვენო სახელოვანო ამხანაგო და მეგობარო!

კ. ვოროშილოვი, მ. ფრინოვსკი, ლ. მეხლისი, ე. შჩადენკო, ბ. შაპოშნიკოვი, ს. ბუდიონი, ს. ტიმოშენკო, გ. კულიკი, ლოქტიონოვი, პავლოვი, სმუშკევიჩი, სავჩენკო, კოვალევი, შტერნი, გრიზოდუბოვა, ოსიპენკო, რასკოვა, ხოზინი, კონევი, კუზნეცოვი, გრომოვი, ფეკლენკო, პროსკუროვი, სემენოვსკი, ზაპოროჟეცი, როგოვი, პტუხინი, შიმკო, ნიკოლაევი, ბირიუკოვი, გუსევი, ვაშუგინი, ხოლზუნოვი, ბუტორინი, იზოტოვი, ოვჩინკინი, ჟიგარევი, არჟენუხინი, კობელევი, სმოროდინოვი, ბელიაკოვი, ბაიდუკოვი, რიჩაგოვი, ხმელნიცკი, კოპეცი, კოროვნიკოვი, სნეგოვი, სენატოროვი, შელუხინი, სეროვი, დესნიცკი, დანილინი, კოკინაკი, სპირინი, ჩერნიხი, იუმაშევი, ერემენკო, ლაკეევი, ასტახოვი, ალექსეევი, ფილინი, სტეპანჩონოკი, სუპრუნი, პეტროვი, ბლაგოვეშჩენსკი, პოლინინი, ა. ოსიპენკო, ჟემჩუჟინი.

სტალინური ეპოქის დიდი მფრინავი

მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა ავიაციამ, თავდაცვის მრეწველობის მუშაკთა არმიამ, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ.

აღარა გვყავს სტალინის მიერ აღზრდილი, ჩვენი სამშობლოს ამაყი შევარდენი — საბჭოთა კავშირის გმირი ვალერი ჩკალოვი.

ხალხის საყვარელმა შვილმა, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულმა მებრძოლმა, მან მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი ცოდნა, მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა კომუნიზმის დიად საქმეს.

გულისტკივილს გრძნობ, როდესაც ფიქრობ, რომ ჩვენს შორის აღარ არის ძვირფასი ვალერი—საყვარელი მეგობარი, რომლის მთელი სიცოცხლე წარმოადგენდა უშიშროების, სიმამაცისა და გმირობის, მტკიცე ნებისყოფის, ბოლშევიკური შეუპოვრობისა და გაბედულების მქონე ადამიანის ნიმუშს. ასე იცნობდა მას ხალხი, ასე იცნობდა მას ყველა ახლობელი მეგობარი.

ვალერი ჩკალოვმა უკვდავი სახელი მოუპოვა თავის სამშობლოს, როდესაც მან ბაიდუკოვთან და ბელიაკოვთან ერთად მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში პირველი გადაფრენა ჩრდილოეთის პოლუსზე. მან გაიყვანა ახალი შესანიშნავი ტრასა და ყველაზე მოკლე გზა გახსნა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

თავის დიდ ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას ვალერი პავლეს-ძე მუდამ ახმარებდა საბჭოთა ავიაციის კადრების სწავლებისა და მომზადების საქმეს.

ვალერი ჩკალოვი ავიაციის შეუდარებელი ოსტატი იყო. ავიაციისათვის შობილმა, მან მთელს მსოფლიოს დაანახვა საფრენოსნო ხელოვნების ნამდვილი ოსტატობა.

დასახული მიზნის მიღწევაში თანამიმდევარმა ვალერი ჩკალოვმა, 1919 წლიდან დაწყებული, მისთვის ჩვეული შეუპოვრობით მოჰკიდა ხელი საფრენოსნო საქმის დაუფლებას და ჩვენი დროის დიდი მფრინავი გახდა.

მან მამაცი წითელი არმიის რიგებში სიმამაცისა და გმირობის საუცხოო სკოლა გაიარა.

მკაფიოდ აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში ამხანაგი ჩკალოვის სიტყვები, რომლებიც მან დიდ სტალინთან შეხვედრის შემდეგ წარმოსთქვა: „ჩემი ცხოვრების შინაარსი უფრო მდიდარი გახდა. ასე მგონია, ახალი უდიდესი ძალა შემემატა ჩვენი მშვენიერი სამშობლოსათვის სამსახურის გასაწევად. სწორედ ამხანაგ სტალინთან ჩემი შეხვედრის შედეგი გახდა ჩვენი—ბაიდუკოვის, ბელიაკოვისა და ჩემი—გადაფრენა მოსკოვ-უდის კუნძულის მარშრუტით“.

ვალერი ჩკალოვი ყოველ წუთს მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა სამშობლოსათვის, ბოლშევიკთა პარტიისათვის, მშობლიური სტალინისათვის. საბჭოთა ხალხმა თავისი მაღალი ნდობით აღჭურვა ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი, აირჩია რა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ დაივიწყებს თავისი გმირი შვილის, სტალინური ეპოქის დიდი მფრინავის შესანიშნავ სახეს.

მ. კაგანოვიჩი, ბელიაკოვი, ბაიდუკოვი, გრომოვი, იუმაშევი, დანილინი, კოკინაკი, გრიზოდუბოვა, ოსიპენკო, რასკოვა, ი. თევოსიანი, ბ. ვანნიკოვი, მ. ხრუნიჩევი, გ. დობროვენსკი, ს. ბელიაიკინი, კოროლიოვი, რედკინი, გორემიკინი, მიხაილოვი, ზუბოვიჩი, გორეგლიადი, ბალაკირიოვი, სტრელცოვი, ბარსუკოვი, ლებედევი, ტერენტიევი, ილიუშინი, პოლიკარპოვი, არხანგელსკი, სუხოი, იაკოვლევი, ჟემჩუჟინა, ოკულოვი, დუბროვინი, ვორონინი, ბორისოვი, ტარასევიჩი, ჟურავლიოვი, ჩერნიშევი, გალიაევი, ჟეზლოვი.

დევგმირი მფრინავი

მთელი საბჭოთა ქვეყანა ულრმესი ჰმუნვით გაიგონებს სამწუხარო ამბავს დიდი, აუნაზღაურებელი დანაკარგის შესახებ. გმირულად დაიღუპა თავის პოსტზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი ბრიგადის მეთაური ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი. წავიდა ჩვენგან პირველი კლასის სტალინური დევგმირი მფრინავი.

ჩვენი დიადი სამშობლოს თვითეული მოქალაქისათვის სამახსოვრო მისი საუცხოო გადაფრენები, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავდა მთელი მსოფლიო თავისი გაბედულობით, მამაცობითა და გმირობით.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილმა, მან ყველაფერი გააკეთა თავისი სოციალისტური სამშობლოს დიდების ასამაღლებლად.

ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის სიცოცხლე და მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან. ამხანაგმა სტალინმა უჩვენა მას რუკაზე მარშრუტი მოსკოვიდან ოხოტის ზღვის ნაპირებისაკენ. ამხანაგ სტალინს აინტერესებდა ჩრდილოეთის პოლუსით მისი ამერიკაში გადაფრენის თვითეული წვრილმანი, იგი მზრუნველობით, მამობრივად ულოცავდა მას შორეულ გზას.

ვალერი ჩკალოვი მუდამ მხიარული, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიით, გაბედული გეგმებითა და მამაცური განზრახვებით სავსე იყო. ვინც კი იცნობდა ამ მომხიბლავ ადამიანს, ის არასოდეს არ დაივიწყებს მის გულთბილობას და თავდაბლობას.

მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო, შენი გაფრენები ოქროს ასოებით ჩაიწერება კაცობრიობის შესანიშნავ მიღწევათა ისტორიაში. (სადესი).

ვ. ს. მოლოკოვი
საბჭოთა კავშირის გმირი.

მძიმე დანაკლისი

გულშემზარავი ამბავი... სულ ამ ახლო ხანში ვნახე მე ჩკალოვი მეტად მხიარულ, აღფრთოვანებულ, სიცოცხლით აღსავსე განწყობილებაში. ჩვენ მასთან ერთად ვისაუბრეთ ჩვენი თეატრის შესახებ. ვალერი პავლეს-ძე უცხოველეს ინტერესს იჩენდა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრისადმი. იგი არაჩვეულებრივ გულმხურვალებას იჩენდა ჩვენი თეატრის მუშაობისა და მის წარმატებათა მიმართ. განსაკუთრებული ინტერესით მეკითხებოდა იგი სპექტაკლებისა და იმის შესახებ, თუ როგორ ვქმნით ჩვენ სახეებს. იგი სამხატვრო თეატრის ნამდვილი მეგობარი იყო და ჩვენ ვაფასებდით და გვიყვარდა ჩკალოვი ამ მეგობრობისათვის.

ერთერთი ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს ვალერი პავლეს-ძემ მითხრა, რომ იგი გულწრფელად მადლიერია მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრისა იმისათვის, რომ თეატრმა ასწავლა მას ხელოვნების სიყვარული. ეს იყო მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანი.

მე გულის სიღრმემდე ამაღელვა ცნობამ ჩვენი დიდი მეგობრის სიკვდილის შესახებ. ჩვენი ქვეყნის ხელოვნების მუშაკებმა უნდა იმუშაონ, დაუღალავად იმუშაონ ჩვენი ეპოქის ისეთი შესანიშნავი ადამიანების სახეთა შექმნაზე, როგორიც იყო ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი.

ვ. ი. კაჩალოვი
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ჩვენი დროის დიდი მფრინავის, საბჭოთა ხალხის მამაცი და საყვარელი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ამხანაგ **ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის** დაღუპვის გამო.

საბჭოთა მფრინავების უძლეველმა ოჯახმა, და მასთან ერთად ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებმა დაჰკარგეს ერთერთი სახელოვანი სტალინელი შევარდენი. მაგრამ ვალერი **ჩკალოვის** სიკვდილი ვერ შეასუსტებს საბჭოთა ავიაციის ურყევ ძლიერებას. სსრ კავშირის ხალხები კვლავ ასობით და ათასობით აღზრდიან ახალგაზრდა მფრინავებს, ისეთსავე გამბედავებსა და მტკიცეებს, გულადებსა და მამაცებს, სამშობლოსა და დიდი **სტალინისადმი** სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგულებს, როგორიც ვალერი **ჩკალოვი** იყო.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტებისაგან

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიის ყველა წევრსა და ქ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ყველა მშრომელს საბჭოთა კავშირის გმირის, სამშობლოს ერთგული შვილის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის დაღუპვას.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტები.

სახალხო გმირი

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები უდიდეს მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ თავის პოსტზე, ახალი თვითმფრინავის გამოცდის დროს დაიღუპა საბჭოთა კავშირის გმირი, ხალხის საყვარელი ადამიანი, საბჭოთა ავიაციის ამაყი შევარდენი **ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი.**

სახალხო გმირის ვალერი ჩკალოვის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა ავიაციის მიერ მიღწეულ უდიდეს გამარჯვებებთან. მისმა შესანიშნავმა გადაფრენებმა მოსკოვი-უდის კუნძული და მოსკოვი-ამერიკის შეერთებული შტატები ჩრდილოეთის პოლუსზე გადავლით ლეგენდარული დიდი მფრინავის დამსახურებული სახელი შეუქმნეს მას ჩვენს სამშობლოში და მთელს მსოფლიოში.

ჩკალოვის გმირულ ტრადიციებზე გაიზრდება და აღიზრდება სამშობლოს ერთგულ, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ უშიშარ საბჭოთა მფრინავების ახალი თაობა.

თავისი საყვარელი ვალერი ჩკალოვის საგმირო საქმეებს არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი სამშობლო, არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხი.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები.

თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ-გამომცდელის

ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მიცვალებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი



ვ. პ. ჩკალოვი შვილებით იგორით და ვალერიათი.

კაცობრიობას მუდამ ეხსომება დიდი გმირი

აღარა გვყავს ვალერი პავლეს-ძე... იგი დაიღუპა... დაიღუპა საუცხოო მფრინავი, ადამიანი, ამხანაგი. ძნელია ამ აზრს შეურიგდე. ძნელია ლაპარაკი ჩკალოვზე, როგორც მიცვალებულზე, ჩკალოვზე — სიცოცხლისა და ძალღონის განსახიერებაზე.

ჩკალოვი პოლარული მფრინავი როდია, მაგრამ იგი დაეუფლა არქტიკას და დაიმორჩილა იგი. ჩვენ, პოლარელები, ალტაცებაში მოვყავდით მის გაბედულ ნახტომს მოსკოვიდან კუნძულ უდზე (ამჟამად კუნძული ჩკალოვი), მის გმირულ რეისს მოსკოვიდან ჩრდილოეთი პოლუსით ამერიკაში.

ამხანაგი ჩკალოვი ოცნებობდა მოეხდინა ფრენა მსოფლიოს გარშემო. და ჩვენ ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ, თუ ჩკალოვმა ხელი მოჰკიდა ამ გადაფრენას, იგი განხორციელებულ იქნება. ჩვენ, მფრინავები, განვახორციელებთ ამხანაგ ჩკალოვის ოცნებას.

გავლენ წლები. ავიაციის პროგრესი შორს მოიტოვებს უკან ჩვენი დღეების მიღწევებს, მაგრამ მფრინავ ჩკალოვის გამარჯვებანი მუდამ ეხსომება მთელს კულტურულ კაცობრიობას და ხალხი მუდამ შესთხზავს სიმღერებს, თქმულებებს საბჭოთა გმირი მფრინავის შესახებ.

მ. ვ. ვოდოპიანოვი

საბჭოთა კავშირის გმირი.

აღარა გვყავს ჩკალოვი— საბჭოთა ქვეყნის უშიშარი შევარდენი

შემძრწუნებელი ცნობა გადმოგვცა ტელეგრაფმა. საბრძოლო პოსტზე დაიღუპა ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ვალერი ჩკალოვი, დიდი **სტალინის** მიერ აღზრდილი, საბჭოთა ავიაციის სიამაყე, მთელი საბჭოთა ხალხის საყვარელი შვილი, რომელმაც მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა გმირი საბჭოთა ხალხის ავიაციის ისტორიაში.

ჩკალოვი — ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობელი, რომელმაც პირველმა ისტორიაში გაიყვანა ჩკალოვის ტრასა ჩრდილოეთ პოლუსზე ამერიკაში,

ჩკალოვი — მფრინავი - გამომცდელი,

ჩკალოვი — დიადი საბჭოთა სამშობლოს მისივე მსგავსი თავდადებული პატრიოტების აღმზრდელი,

ჩკალოვი — ნამდვილი შვილი და მსახური დიადი საბჭოთა ხალხისა,.

ჩკალოვი — უერთგულესი შვილი ლენინ-სტალინის პარტიისა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე, დაიღუპა საბრძოლო პოსტზე.

ძნელი დასაჯერებელია. გონება ვერ ურიგდება ამ მწარე სინამდვილეს.

ჩვენ ახლოს ვიცნობდით მას: ის უბრალო, მოყვარული, გულითადი, დიდი პრინციპული სიმტკიცის მქონე ნამდვილი ამხანაგი იყო. როდესაც მას ვხედავდით, უნებლიედ ვენთებოდით მისი ენერგიითა და სიხალისით.

როდესაც ჩკალოვს ვუცქეროდით, ჩვენ აშკარად წარმოგვედგინა, თუ როგორ შეუპოვრად გაანადგურებენ ათასობით გმირი საბჭოთა შევარდნები ლენინ-სტალინის დიადი საქმის მტრებს, როგორ აღგვიან ისინი ჩვენი ქვეყნის—დიადი საბჭოეთის წინააღმდეგ ვამოლაშქრებულ ცოფიან ფაშისტებს დედამიწის პირიდან.

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მშრომელი კაცობრიობა ყოველთვის წმინდად დაიცავს თავისი უშიშარი გმირის, საბჭოთა ხალხის საყვარელი და ერთგული შვილის, ძვირფასი ვალერი ჩკალოვის ხსოვნას.

თ. ბირკაძე, ა. ხორავა, მ. ჭიაურელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

როგორ დავიწყე ფრენა

ნაწყვეტი ვ. პ. ჩკალოვის ავტობიოგრაფიიდან

პატარა სოფელი ვოლგის ნაპირზე. აქ არის ვასილიევსკის საგუბარი, სადაც ზამთრობით გემების რემონტი სწარმოებდა. აქ მუშაობდა მამაჩემი, მექვაბე. მეც აქ დავიწყე მუშაობა. მაშინ 13 წლისა ვიყავი. ჯანსაღ, მკვირცხლ ბიჭად მახსოვს თავი. ყოველთვის მხიარული და ხალისიანი ვიყავი. რევოლუციამ პირველად დამაფიქრა. მიძნელდებოდა ცხოვრებაში გარკვევა. დამეხმარნენ ამხანაგები, რომელთაგან გავიგე პიტერის, სამოქალაქო ომის, ბოლშევიკთა პარტიის ამბები. ამ დროს ჩვენს მხარეში კიდევ პარტიზანული ომი სწარმოებდა. მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ, 1919 წელს გამოჩნდნენ რეგულარული წითელი არმიის ნაწილები და მაშინდელ ნიჟნი-ნოვგოროდში (ახლა გორკი) მოთავსდა IV საავიაციო პარკი. ხანდახან ქალაქზე თვითმფრინავები გადაიფრინდნენ ხოლმე. მოტორის ხმაურობას რომ გავიგონებდი, დისციპლინა მავიწყდებოდა, გამოვრბოდი სახელოსნოდან და გაფაციცებული, გაოცებული ვადევნებდი თვალს თვითმფრინავს, რომელიც თანდათან ეფარებოდა ჰორიზონტს. შემდეგ კვლავ ჩავდიოდი ჩემს „ქვესკნელში“, ვოცნებობდი ფრენაზე და ეს ოცნება შეუსრულებელი მეჩვენებოდა. მაგრამ ერთხელ, მას შემდეგ, რაც განსაკუთრებით დიდხანს ვადევნებდი თვალს ჰაერში მიმქროლავ მანქანას, როგორღაც თავისთავად დამებადა იდეა: „უნდა წავიდე მფრინავებთან, ვთხოვო — მასწავლონ ფრენა“. და 1919 წლის შემოდგომაზე IV საავიაციო პარკის შტაბის მისაღებ ოთახში ვდგევარ, გადაწყვეტილი მაქვს მოხალისედ შევიდე წითელი არმიის რიგებში. მაშინ მეთექვსმეტე წელში ვიდექი. 1923 წლის 15 აპრილს ბორისოგლებსკის საფრენოსნო სკოლის მოწაფეთა რიცხვში ჩამრიცხეს. მალე დავამთავრე ეს სკოლა და გამგზავნეს სერპუხოვის საჰაერო ბრძოლის სკოლაში. აქ ჩემგან რიგითი მფრინავისაგან — სამხედრო მფრინავი გამოიყვანეს. კარგად ვსწავლობდი, ადვილად ვითვისებდი ცოდნას და ამიტომ გამგზავნეს მოსკოვში, ავიაციის უმაღლეს სკოლაში. ბოლოს, პირველი ოცნება ამისრულდა: მე სრულუფლებიანი სამხედრო მფრინავი ვარ და სრული უფლებით ვატარებ ამ სახელწოდებას. ეს ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი ამბავი მოხდა 1925 წლის ნოემბერში.

საყვარელი ჩკალოვი

სიტყვებს ცრემლები ამძიმებს. მოულოდნელობა მაქვავებს.

როგორ? საყვარელი ვალერი პავლეს-ძე, აღსავსე უძლეველის ენერგიით, ნამდვილი გმირის მაღალი ღირსებებით, უებრო ფრენოსანი, მომხიბლავი ადამიანი და დიდი პატრიოტი ჩვენი დიადი სამშობლოსი აღარა გვყავს?

საკმარისი იყო მასთან ცოტა ხანი მოგეთიათ, გესაუბრათ, რომ გეგრძნოთ, თუ როგორი მაღალია თავის თითქოს უბრალოებაში ეს სტალინური ეპოქის მიერ წარმოშობილი მოწინავე პიროვნება.

როგორ თვითონ ივსებოდით ენერგიით მასთან მყოფი და მზად ხდებოდით, რომ თქვენც რაიმე მაღალი და გმირული მოგექმედნათ თქვენს დარგში.

იგი გინერგავდათ გამბედაობას, შემართებას, გამტანობას.

მეც ხშირად აღფრთოვანებულვარ ამ კაცის დიდი სულიერი ახოვნებით და გულში გამივლია, რომ ჩემი სუსტი კალმით ესეთი პიროვნება ამესახა ერთერთ ჩემს მომავალ ნაწარმოებში.

არ დამავიწყდება ჩემთან თქმული მისი ცეცხლოვანი სიტყვები:

„პირსისხლიან ფაშისტებს თავის ბუნაგშივე დავაყრით გამანადგურებელ ყუმბარებს და მოვსპობთ როგორც ფიზიკურად, ისე მორალურადაც“.

როგორ მზად იყავ ამ დიდი საქმისათვის, მშვენიერო კაცო, ძვირფასო ვალერი პავლეს-ძევ, ყოველ ჟამს და წუთს.

მთელი შენი მოძრავი ბუნება, ხალისიანი სიცოცხლე და პოეტური გაქანებანი...

ვინაიდან შენ პოეტი იყავ შენი სპეციალობისა...

ემსახურებოდი ლენინ-სტალინის დიად საქმეს... ეხლა-ღა? ერთია ხუგეში:

შენი სახელი უკვდავია!

ხოლო რასაც შენ მიისწრაფოდი, შენისთანების მიერ, ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული შვილების მიერ განხორციელებული იქნება.

გარდუვალად, აუცილებლად!

შალვა დადიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მეომარი არწივი

სოციალისტური სამშობლოს ცას მოსწყდა მეომარი არწივი, ჩვენი ქვეყნის მფრინავთა რიგებს გამოაკლდა დიდი მფრინავი, სტალინური ეპოქის სახელგანთქმული გმირი, საბჭოთა ხალხის საამაყო შვილი ვალერი ჩკალოვი.

მან თავისი გმირული გადაფრენებით გააოცა ქვეყნიერება და მთელ მსოფლიოს დაანახვა საბჭოთა ხალხის სტალინური სიმტკიცე და უძლეველობა.

აღარ გვყავს სახელოვანი ვალერი ჩკალოვი, მაგრამ ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ ცაზე აფრინდებიან გუნდი და გუნდი მეომარი არწივებისა საბჭოთა ხალხის სასახელოდ, მტრების თავზარდასაცემად.

ალიო მაშაშვილი, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხანაგ ვ. პ. ჩკალოვის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მიცვალებულ ამხ. **ვ. პ. ჩკალოვთან** გამოთხოვებისათვის ხალხს შეუშვებენ 17 დეკემბერს 23 საათამდე.

ამხ. **ვ. პ. ჩკალოვის** ცხედრის კრემაცია მოხდება 17 დეკემბერს, ღამით.

ურნა ამხ. **ვ. პ. ჩკალოვის** ფერფლით კრემაციის შემდეგ დადგმული იქნება იქვე, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც ხალხს შეუშვებენ 18 დეკემბერს, დილის 7 საათიდან 13 საათსა და 30 წუთამდე.

13 საათსა და 30 წუთზე ურნასთან მისვლა შეწყვეტილი იქნება.

ამხ. **ვ. პ. ჩკალოვის** დაკრძალვა მოხდება წითელ მოედანზე 18 დეკემბერს 15 საათზე. ურნის გამოტანა კავშირების სახლიდან—14 საათსა და 30 წუთზე.

როდესაც ურნას ამხ. **ვ. პ. ჩკალოვის** ფერფლით წითელ მოედანზე მოასვენებენ, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან შედგება სამგლოვიარო მიტინგი.

პარტიული ცხოვრება

პირველი ნაბიჯები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე აბაშის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში გაიშალა სერიოზული მუშაობა იმ მიმართულებით, რათა ეს დადგენილება საფუძვლიანად გაგვეცნო და განგვემარტა თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისათვის, თვითეული საბჭოთა ინტელიგენტისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითების საფუძველზე ნოემბერში ჩატარდა აბაშის რაიონის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების განხილვისადმი. ამ კრებაზე პარტიულმა აქტივმა ბოლშევიკურად გააკრიტიკა ნაკლოვანებანი, რომელნიც თან ახლდა პროპაგანდისტულ მუშაობას ჩვენს რაიონში, და დასახა საჭირო ღონისძიებანი ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიული გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის. ამის შემდეგ შევუდექით ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გულდასმით განხილვას პირველადს პარტორგანიზაციებში.

3 დეკემბერს დაბა აბაშაში ჩატარდა ინტელიგენციის საერთო კრება, რომელზედაც დამსწრეთ განემარტათ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება. სიტყვით გამოსული ექიმები: დ. გვაზავა, ა. ფალავა, აგრონომი ჯინჯიხაძე, ეკონომისტი თ. მელქაძე და სხვები აღნიშნავდნენ: საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა მოგვცემს შესაძლებლობას შევიარაღდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის ცოდნით, ხოლო ეს უკანასკნელი ისე აუცილებელია ჩვენთვის, როგორც ჰაერი. მათ ერთხმად განაცხადეს სურვილი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის იმუშაონ დამოუკიდებლად, პირველწყაროების მიხედვით და მოითხოვეს მათი მომარაგება სათანადო ლიტერატურით.

7 დეკემბერს რაიალმასკომთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზე, რომელზედაც განხილულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილება, ამხ. ა. კაჭარავამ, გ. კიკაბიძემ, ი. შუბლაძემ, ზ. ქორჩილავამ, ი. კაჭარავამ და სხვ. ერთხმად გამოსთქვეს სურვილი სახელმძღვანელოს მიხედვით პარტიის ისტორიის შესწავლისათვის იმეცადინონ დამოუკიდებლად. ამასთან ერთად მოითხოვეს კონსულტაციის მოწყობა პარტკაბინეტში და პერიოდულად მოხსენებებისა და ლექციების ჩატარება საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკე თავების მიხედვით და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე რაიონში არსდება საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 3 წრე (ახალი აბაშა, სუჯუნა და სამიქაო). წრეები უზრუნველყოფილია კვალიფიციური პროპაგანდისტებით. პარტიის ისტორიის შემსწავლელთათვის ყოველდღიური დახმარების აღმოსაჩენად რაიკომის პარტკაბინეტთან შექმნილია კონსულტანტთა ჯგუფი კვალიფიციური კონსულტანტების შემადგენლობით. სუჯუნის და სამიქაოს სასოფლო ცენტრებში კვირაში ერთ დღეს მოეწყობა კონსულტაცია რაიონიდან მივლინებული კონსულტანტების მეშვეობით.

რაიკომის ბიურომ განიხილა და დაამტკიცა დეკემბრის გეგმა თეორიული მოხსენებებისა და ლექციების ჩატარებისა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკეულ თემებზე და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე; მოხსენებები და ლექციები ჩატარებული იქნება როგორც რაიონში, ისე სასოფლო საბჭოებში. ლექტორები უკვე შერჩეულია. პირველი ლექცია „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში“ მოეწყო 10 დეკემბერს დ. აბაშაში. ლექცია წაიკითხა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მუშაკმა ამხ. დ. შაედიამ; ლექციას დაესწრო 200-ზე მეტი ინტელიგენტი.

ლექციები და მოხსენებები უნდა ჩავატაროთ რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში, რადგან ამის მოთხოვნილებას ყოველდღე გვიყენებენ ჩვენ პარტიული ამხანაგები და საკოლმეურნეო ინტელიგენცია. ჩვენ ხელს გვიშლის კვალიფიციური ლექტორების სიმცირე და ამ საქმეში დაგვჭირდება დახმარება.

პარტიის ისტორიის შესწავლაზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესასწავლად პირველწყაროების რაც შეიძლება დაჩქარებით გამოცემა ქართულ ენაზე. ამჟამად კი რაიკომის პარტკაბინეტი და რაიონის თითქმის ყველა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები მოუმარაგებელი არიან მარქსიზმის კლასიკოსების შრომებით. ამიტომ მარქსიზმის კლასიკოსთა ქართულ ენაზე გამოცემა უნდა დავაჩქაროთ.

პ. კორთხონჯია

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი.

იხილავენ სტალინური ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილებას — „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ დიდი ინტერესით იხილავენ რაიონული პარტიული აქტივის კრებები.

პარტიული აქტივის კრებებზე გამოსული კომუნისტები გულთბილად მიესალმებიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებას, ბოლშევიკური პირდაპირობით ამჟღავნებენ პროპაგანდის დაყენების დარგში დღემდე არსებულ ნაკლოვანებებს და იძლევიან პრაქტიკულ წინადადებებს ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

მაგალითად, ამ დღეებში ჩატარდა ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოული) რაიონული პარტიული აქტივის კრება, რომელზედაც მოისმინეს იქნა რაიკომის მდივნის ამხ. გრ. ორჯონიკიძის მოხსენება. მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა 12 კომუნისტი. დიდი აქტივობით ჩატარდა ბათუმის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. დვალმა, რაიონული პარტიული აქტივის კრება ჩატარდა აგრეთვე ბაღდათში. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. შ. მაისურაძე. ზაჰესის რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე, რომელსაც 200-ზე მეტი კომუნისტი დაესწრო, ყურადღებით იქნა მოსმენილი რაიკომის მდივნის ამხ. **ჯაჭოვის** მოხსენება.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის IV პლენუმი

(ტელეფონით საკ. კორესპონდენტისაგან)

15 დეკემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის IV პლენუმი. პლენუმმა მოისმინა მანქანათმშენებელი ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. **მანიაკოვისა** და აჭარვაჭრობის პარტკომის მდივნის ამხ. **გოგუას** მოხსენებები თავიანთი მუშაობის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: მ. მახარაძე (ბათუმის რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანი), ვ. ყურაშვილი (საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი), ზირიაკინი (ბათუმის ნავთსახდელი ქარხანა), ბუდიკოვი (ნავსადგური), ვ. ახალაძე (საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტი), ო. ჯიბლაძე (საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტი), სანიკიძე (საქ. ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტი) და სხვ.

კამათის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. **მ. ბარამია**. პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმზე განხილულ იქნა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. ქალაქკომის წევრობის მოვალეობისაგან, მათი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. გოლეთიანი, ზელენკოვი და ივანოვი, ხოლო წევრობის კანდიდატობიდან ამხ. ფაცაცია.

კ. დოგორჯგინიძე

საქ. ალკკ სტალინირის საქალაქო აქტივის კრება

სტალინირი. 12 დეკემბერს ჩატარდა სტალინირის ალკკ საქალაქო აქტივის კრება.

აქტივის კრებამ მოისმინა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მირცხულავას მოხსენება საქ. ალკკ ც. კ-ის VII პლენუმის შედეგების შესახებ.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მდივნები ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი და ს. სანაკოევი.

სტალინირის კომკავშირის აქტივის კრება ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ვ. ხარებოვმა, ლ. გაგლოევამ, ს. გაგლოევმა, ა. კასაბოვმა, ა. კუმარიტოვმა, ს. ზასეევმა და სხვებმა.

აქტივმა სასტიკად გააკრიტიკა საოლქო კომიტეტი და მისი მდივანი გ. გარიბოვი, რომელიც ვერ მოსცილებია მუშაობის კაბინეტურ მეთოდებს და ამის გამო მოწყვეტილია პირველადს ორგანიზაციებს. აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ გარიბოვი ნაკლებად ეხმარება ახლად დაწინაურებულ კომკავშირელებს და ხელმძღვანელობის ადმინისტრატიულ მეთოდებს მიჰმართავს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოლქკომის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერგანყოფილების გამგეებმა, ფ. ზასეევმა და ნ. ცხოვრებოვმა, რომლებიც სიტყვით გამოვიდნენ, სრულიად არაფერი სთქვეს თავიანთ მუშაობაზე და მხოლოდ რეპლიკების შემდეგ ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე თავიანთ მუშაობაში. მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული აგრეთვე ოლქკომის ხელმძღვანელი კომკავშირული განყოფილების გამგის ძაგოევის მუშაობა. სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული აგრეთვე გაზეთ „ლენინელის“ რედაქცია, რომელიც მოწყვეტილია კომკავშირულ ორგანიზაციების მუშაობას; მას დღემდე არც ერთხელ არ უმხელია შინაკომკავშირული დემოკრატიზმის დარღვევის ფაქტები, ოლქკომის ინსტრუქტორების უმოქმედობა და სხვ.

ამხ. მირცხულავას საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კომკავშირის სტალინირის აქტივმა მთლიანად და სავსებით მოიწონა საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმის გადაწყვეტილებები და პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

აქტივის კრებამ ხანგრძლივი ოვაციებით ერთხმად მიიღო ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა სტალინურ სახკომს ამხ. ლ. პ. ბერიას.

თბილისის საორთქლმავლო დეპო. პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ხომერიკი (შუაში) კონსულტაციას უწევს მემანქანეებს: ნ. ლ. გვენეტაძეს (მარცხნივ) და ა. ს. ანჩესლავსკის, რომლებიც ინდივიდუალურად სწავლობენ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ვემზადებით პარტისტორიის შესწავლისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ ახალ ხანას ქმნის ბოლშევიზმის პროპაგანდის ისტორიაში.

ისე, როგორც ყველგან, ჩვენც, ზესტაფონის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში ბოლშევიკური პროპაგანდის ძირითად მეთოდად არჩეული გვქონდა სიტყვიერი პროპაგანდა, გატაცებული ვიყავით საწრეო მუშაობით და დაინტერესებულნი იმით, რომ რაც შეიძლება მრავლად ჩაგვება ამხანაგები წრეებში. არ ვაქცევდით ყურადღებას მსმენელთა მოთხოვნილებებს, იმას, რომ ბევრ კომუნისტს წრეში მეცადინეობის ნაცვლად, სურდა წიგნზე ინდივიდუალურად მუშაობა, დამოუკიდებლად მეცადინეობა.

წრეების სიმრავლემ, კომუნისტთა ძალდატანებით ჩაბმამ წრეებში, გამოიწვია ის, რომ რაიონულმა კომიტეტმა ვერ შეარჩია წრეებში საკმაოდ მომზადებული პროპაგანდისტები, რის გამო ხშირი იყო კომუნისტთა საყვედურები, რომ მათ პროპაგანდისტის საუბარი არ აკმაყოფილებდა.

მუშაობის ასეთმა მეთოდმა გამოიწვია ის, რომ ზოგიერთი კომუნისტი მხოლოდ დროს ჰკარგავდა პოლიტწრეში სიარულით და ნამდვილად ვერ ეუფლებოდა ბოლშევიზმს. მაგალითად, მ. ხუსკივაძე, ე. დევიძე, ვ. შველიძე, ი. სხილაძე, ი. გელაშვილი და სხვები მრავალი წლის განმავლობაში ერთი ტიპის პოლიტწრეში მეცადინეობდნენ. იმისათვის, რომ „განგვემტკიცებინა“ პოლიტწრეების ნორმალური მუშაობა, პარტიულ ორგანიზაციებში შემოღებული გვქონდა პოლიტსკოლის გამცდენ კომუნისტებზე სასჯელის დადების პრაქტიკა. ამ მეთოდით ვაიძულებდით მათ დასწრებოდნენ მეცადინეობას. ასეთი მუშაობის გამო კომუნისტებისათვის წრეებში სიარული მოსაწყენ მოვალეობად იქცეოდა.

ზესტაფონის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ინერგიულად შეუდგნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების განხილვასა და განხორციელებას. წინასწარ მოვიწვიეთ რაიონული პარტიული აქტივის კრება, რომელზეც ფართოდ იქნა განმარტებული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილება „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“. შემდეგ ჩატარდა პირველადი პარტორგანიზაციების ღია პარტიული კრებები, ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკებსა და ინტელიგენციასთან ერთად. ამ კრებებზე სიტყვებით გამოსული ამხანაგები იწონებდნენ ც. კ-ის დადგენილებას და სახავდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს პარტიული სწავლების ახლებურად მოწყობისათვის.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციები გულმოდგინედ არკვევენ, თუ ვის სურს ინდივიდუალურად შეისწავლოს ჩვენი პარტიის გმირული ისტორია. ამ მხრივ ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ უკვე დაამთავრა მუშაობა.

ფეროშენადნობთა ქარხნის პარტორგანიზაციაში 145 პარტწევრკანდიდატმა სურვილი განაცხადა დამოუკიდებლად შეისწავლოს პარტიის ისტორია, რაიალმასკომის პირველადს პარტორგანიზაციაში 27 კომუნისტიდან ასეთივე სურვილი გამოსთქვა 25 ამხანაგმა, ადგილობრივი მრეწველობის პარტორგანიზაციაში 29 კომუნისტიდან ყველამ სურვილი განაცხადა დამოუკიდებლად სწავლისა, ძირულის ქარხანაში 24 კომუნისტიდან 22-მა და სხვ.

ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა ყოველდღიურად დავეხმაროთ ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ღრმად შესწავლაში. ამ მიზნით რაიონულ კომიტეტთან მოწყობილია ლექტორ - პროპაგანდისტთა ჯგუფი 10 კაცის შემადგენლობით, რომლებიც განთავისუფლებული არიან სხვა პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებათაგან. ლექტორ - პროპაგანდისტებს უკვე მიეცათ სათანადო მითითება, თუ როგორ უნდა მოაწყონ თავიანთი მუშაობა.

პარტკაბინეტთან მოწყობილია ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია. კონსულტანტებად გამოყოფილი არიან კვალიფიციური ამხანაგები, რომლებიც დამტკიცებული არიან რაიკომის ბიუროს მიერ. ლექცია-მოხსენებები და კონსულტაციები მოეწყობა აგრეთვე რაიონის ცენტრში, მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლსაბჭოებში. რაიონული კომიტეტის გეგმით დეკემბერში „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ და მარქსიზმის კლასიკოსთა ცალკეული შრომების მიხედვით მოეწყობა 39 ლექცია. დეკემბერში გათვალისწინებულია მოეწყოს ლექციები ორ თემაზე: ლენინის წიგნების — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ და „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ — მნიშვნელობაზე. ლექცია მოეწყობა ხელმძღვანელი კადრების, ინტელიგენციის, პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო აპარატის მუშაკთათვის. პირველი ლექცია ინტელიგენციისათვის ჩატარდა 10 დეკემბერს, საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი თავის მიხედვით. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ცალკეულ სოფლსაბჭოებში შექმნილია საკონსულტაციო პუნქტები, სადაც მოეწყობა როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური კონსულტაცია. რაიონის ცენტრიდან მისული კვალიფიციური კონსულტანტები მისცემენ ზუსტ და ამომწურავ პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რაც დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს წამოეჭრებათ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის კითხვის დროს.

ჩატარდა აგრეთვე ლექცია-მოხსენებები სოფლის ინტელიგენციისათვის და ხელმძღვანელ მუშაკთათვის. დეკემბერში გათვალისწინებულია 21 ასეთი ლექციის ჩატარება.

საპროპაგანდო მუშაობას ხელმძღვანელობს რაიკომის ერთერთი მდივანი. გარდაქმნილია რაიონული პარტკაბინეტის მუშაობა. პარტკაბინეტი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ლექტორ - პროპაგანდისტებით და კონსულტანტებით, პარტკაბინეტთან სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. მკითხველებს ეძლევათ ზუსტი და ამომწურავი პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომელიც მათ წამოეჭრებათ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლის დროს.

დღემდე რაიონის პარტკაბინეტი ღარიბია ლიტერატურით, რის გამო ის ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებებს. მაგრამ უახლოეს დროში პარტკაბინეტიც შევსებული იქნება საჭირო ლიტერატურით.

ვ. ფვერავა

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელდროშოვანი „ეპრონი“

(არსებობის 15 წლისთავის გამო)

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მძლავრი სანაოსნო ტრანსპორტის ქვეყანაა. ეს გასაგებიცაა. ჩვენს ქვეყანას გარს აკრავს წყნარი და ყინულოვანი ოკეანეები, თეთრი, ბალტიის, შავი და კასპიის ზღვები. მის შიგნით მოიპოვებიან დიდი ტბები, მას სერავენ დიდი, წყალქარბი მდინარეები, უდიდესი არხები.

თვითეული გემი, საზღვარგარეთ შეძენილი თუ ჩვენს საბჭოთა ვერფებში აგებული, დიდძალი ფული ჯდება და დიდ მატერიალურ ღირებულებას წარმოადგენს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სანაოსნო ტრანსპორტზე ავარიებთან ბრძოლას. მიუხედავად ჩვენი მეზღვაურების ენერგიული, სტახანოვური მუშაობისა, თითქმის ყოველწლიურად შტორმები, წყალქვეშა რიფები და მეჩეჩები ხელიდან გვაცლიან რამდენიმე გემს.

ახლა, მართალია, ასეთი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ იმპერიალისტური და განსაკუთრებით სამოქალაქო ომების დროს ჩვენი ზღვებისა და მდინარეების ფსკერები მოფენილი იყო ჩაძირული გემებით.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ჩვენ არ შეგვეძლო არც ახალი გემების შენება და არც მათი შესყიდვა. საჭირო იყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოგვეყენებინა ჩაძირული გემები.

და აი, 1921 წლის იანვარში ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოდის სახკომსაბჭოს დეკრეტი შავ და აზოვის ზღვებზე გემთამოღების საქმის მოწყობის შესახებ.

1923 წელს ფ. ე. ძერჟინსკის ინიციატივით გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო აწყობს **განსაკუთრებული დანიშნულების წყალქვეშა სამუშაოთა ექსპედიციას** („ეპრონ“), რომელსაც მთავრობა ერთბაშად აკისრებს მთელ რიგ პასუხსაგებ დავალებებს. პირველი დავალება იყო ინგლისის ჩაძირული გემის „შავი პრინცის“ ამოღება, რომელიც 1854 წელს ჩაიძირა ბალაკლავის ბოღაზში. უცხოეთის ბევრი კომპანიები ცდილან მის ამოღებას, მაგრამ ამაოდ. ის, რაც სხვებმა ვერ შესძლეს, ეპრონელებმა გააკეთეს ერთი წლის განმავლობაში.

უკვე პირველ წლებშივე გაითქვა „ეპრონმა“ სახელი ჩაძირულ გემთა ამოღებაში. მან ჩაატარა ისეთი სამუშაოები, რომელთაც იგი დააყენეს მსოფლიოში არსებულ ფირმათა და კომპანიათა მოწინავე რიგებში.

„ეპრონის“ ზოგიერთი სამუშაოების მსგავსსა და ბადალს ვერ ვხვდებით ვერსად თავისი ტემპებისა და სიძნელეთა დაძლევის მხრივ.

ერთერთი ასეთი სამუშაოთაგანი იყო ინგლისის წყალქვეშა ნავის „ლ-55“-ის ამოღება. ამ სამუშაოსათვის „ეპრონი“ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

მთელ რიგ სხვა სამუშაოებში „ეპრონმა“ გამოიჩინა დიდი უნარი მის წინაშე დასმულ უძნელეს ამოცანათა გადაწყვეტისა. ამის მაგალითს წარმოადგენს ყველაზე დიდი საბჭოთა გემის „ხარკოვის“ გადარჩენა, რომლის წყალწყვა 12.500 ტონას უდრის. არანაკლებ დამახასიათებელია გემ „სტალინგრადის“ გადარჩენა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ეპრონის“ სამუშაოებს არქტიკულ ზღვებში.

მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს მის მუშაობას ყინულმჭრელ „მალიგინის“ გადასარჩენად, რომელმაც 1932 წლის 30 დეკემბერს განიცადა მძიმე ავარია შპიცბერგენის სანაპიროებთან. ათი დღის შემდეგ „მალიგინი“ ამოღებულ იქნა.

არანაკლები სახელი მოუპოვა „ეპრონს“ ყინულმჭრელ „სადკოს“ ამოღებამ, რომელიც იმპერიალისტური ომის დროს ჩაიძირა თეთრ ზღვაში.

ფართოდ გაუთქვა სახელი „ეპრონს“ აგრეთვე უცხოეთის გემების გადარჩენამ.

ასეული ათასი მანეთი ოქროთი მისცა „ეპრონმა“ საბჭოთა სახელმწიფოს პრემიების სახით, რომელიც მან უცხოეთის გემების გადარჩენისათვის მიიღო.

თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე სახელოვან „ეპრონს“ ამოღებული აქვს 264 და გადარჩენილი — 171 გემი.

ამ 15 წლის განმავლობაში აღიზარდნენ წყალქვეშ მომუშავეთა მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც თავისი უმაგალითო გმირული მუშაობით გვიჩვენებენ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის იშვიათ ნიმუშებს. „ეპრონის“ საუკეთესო ადამიანები ექსპედიციის უფროსის ამხ. კრილოვის მეთაურობით დაჯილდოვებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებით.

წითელდროშოვანი „ეპრონის“ მუშაობა, ეპრონელთა თავდადება და გმირობა მაგალითის მიმცემია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

რვა ახალი კოლმეურნეობა

გორი, 15 დეკემბერი (საქ. კორ.). უკანასკნელ ორ თვეში გორის რაიონის მთიან სოფლებში ერთპიროვნულ მეურნეთა მოთხოვნით ჩამოყალიბდა რვა ახალი კოლმეურნეობა. სოფ. ყველაანთ-უბანში მოეწყო სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ ტამში ბერიას სახელობის, სოფ. ზემო-ახალსოფელში პაპანინის სახელობის, სოფ. ქსოვრისში კანდიდ ჩარკვიანის სახელობის, სოფ. მღებრიანში ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობანი.

ახალი კოლმეურნეობები ჩამოყალიბდა აგრეთვე სოფელ ილოზში „წითელი ილოზი“, სოფ. ავკვეთში — „წითელი ავკვეთი“ და ქვემობოშურში—„წითელი სხივი“.

ს. ყურაშვილი

უკანასკნელი ფოსტა

დაუდევრობა თუ უფრო მეტი?

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ზეიმითა და სიხარულით აღნიშნა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე პირველად ჩატარებული, ნამდვილად დემოკრატიული, ნამდვილად თავისუფალი არჩევნების — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წლისთავი—12 დეკემბერი. ჩვენმა პრესამ ფართოდ გააშუქა ერთი წლის განმავლობაში დეპუტატთა მიერ ჩატარებული მუშაობა.

ამიტომ გაკვირვებას იწვევს გაზეთ „ავანგარდის“ (ცხაკაიას რ.) 12 დეკემბრის ნომერი, რომელშიაც მხოლოდ ექვსსტრიქონიანი ცნობაა მოთავსებული იმის შესახებ, რომ ერთი წლის წინათ არჩევნები მოხდა. ასევე არასაკმაოდ აღნიშნა 12 დეკემბერი გაზეთმა „სტალინურმა სიტყვამ“ (საგარეჯოს რ.).

უფრო საოცარია ის ამბავი, რომ გაზ. „ლენინის დროშამ“ (მახარაძის რ.) თავისი 12 დეკემბრის ნომერში სრულიად არაფერი სთქვა არჩევნების წლისთავის შესახებ. ასევე აუარა გვერდი ამ თარიღს გაზეთმა „საბჭოთა ოსეთმა“ (სამხრეთ-ოსეთი).

რა უწოდოთ ამას—გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორის აკ. კილასონიას, გაზეთ „სტალინური სიტყვის“ რედაქტორის ნ. კიკვიძის, გაზეთ „ლენინის დროშას“ რედაქტორის მოადგილის ვ. დათუნაშვილის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოვალეობის აღმსრულებლის მ. ბიგნიაშვილის — დაუდევრობა, თუ უფრო მეტი?

აბაშის მტს-ში ტრაქტორების რემონტს აჭიანურებენ

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

აბაშის მტს-ის განკარგულებაში 25 ტრაქტორია. აქედან მიმდინარე რემონტი სჭირდება 17-ს, ხოლო კაპიტალური—7-ს. მტს-ის ხელმძღვანელებისა და მთელი კოლექტივის წინაშე მეტად პასუხსაგები ამოცანა დგას. მაგრამ აბაშის მტს-ში რემონტი დამკვრელური ტემპებით ჯერ კიდევ არ გაუჩაღებიათ.

მტს-ის დირექციის მიერ (დირექტორი ამხ. ა. წულაია) შექმნილია მხოლოდ ერთი სარემონტო ბრიგადა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბრიგადამ საუკეთესოდ მოაწყო მუშაობა. ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. კ. კაჭარავა ყოველნაირად ცდილობს ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავროს ტრაქტორების რემონტი. ბრიგადამ მუშაობა 5 დეკემბრიდან დაიწყო, და მალე დაამთავრებს გეგმით გათვალისწინებული სამი ტრაქტორის რემონტს. მაგრამ ეს არ კმარა. სულ უნდა მოეწყოს 6 სარემონტო ბრიგადა. ჯერჯერობით ბრიგადების შექმნა, მათი დაკომპლექტება არ მომხდარა. მხოლოდ ერთი სარემონტო ბრიგადის ჩამოყალიბებით დაკმაყოფილდნენ. 13 ტრაქტორი პარკშია მოთავსებული. შესაძლებელი იყო მტს-ის ხელმძღვანელებს დაეკომპლექტებინათ სარემონტო ბრიგადები, მაგრამ რატომღაც ეს საქმე ჯერჯერობით ნაადრევად მიაჩნიათ.

დაძაბულ მუშაობას მოითხოვს ტრაქტორების კაპიტალური რემონტი. პირველ რიგში ყველა პირობა უნდა შექმნილიყო, რომ კაპიტალური რემონტი შეუფერხებლივ ჩატარებულიყო. რა გაკეთდა ამ მხრივ? თითქმის არაფერი. ტრაქტორების კაპიტალურად შეკეთებას ახლა იწყებენ.

მტს-ს აკლია ტრაქტორების ზოგიერთი სათადარიგო ნაწილი.

ავტო-სატრაქტორო მრეწველობის მთავარსამმართველოს საქ. განყოფილება აგვიანებს სათადარიგო ნაწილების გადმოგზავნას.

მაგრამ აქ ცენტრის მოლოდინში არიან და არ ღებულობენ ყველა საჭირო ზომას ტრაქტორების ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის აღსადგენად. საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა ზოგიერთი მოწინავე სახელოსნოების გამოცდილება სათადარიგო ნაწილების აღდგენის საქმეში ფართოდ უნდა დავნერგოთ. აბაშის მტს-ის დირექტორმა ამხ. წულაიამ ამ თავითვე უნდა მიიღოს ენერგიული ზომები ამ საქმის დასაჩქარებლად.

გაზ. „კომუნისტის“ 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მტს-ების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება „საშემოდგომო-საზამთრო რემონტზე სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ აღნიშნული დადგენილება მტს-ის ხელმძღვანელებს განეხილათ ტრაქტორისტების საწარმოო თათბირებზე და კრებებზე, დაესახათ პრაქტიკული ღონისძიებანი, გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება. ამ მხრივ აბაშის მტს-ის დირექციის, პარტიულ ორგანიზაციას და მუშათა კომიტეტს არაფერი გაუკეთებიათ. ტრაქტორისტები არც კი იცნობენ ზემოაღნიშნულ დადგენილებას.

ტრაქტორისტებს მიღებული აქვთ კუთვნილი გასამრჯელო, აქვთ საერთო საცხოვრებელი, გათბობა და განათება, მაგრამ ჯერჯერობით მოგვარებული არ არის ტრაქტორისტების კვების საქმე. სასადილოში არ მზადდება კარგი ხარისხის კერძები, დაცული არ არის სისუფთავე.

ყველაფერი ეს ცნობილია აბაშის მტს-ის დირექციისა და პროფორგანიზაციისათვის, მაგრამ რატომღაც ისინი ამ მდგომარეობას ურიგდებიან.

მ. თევზაძე.

შეუწყნარებელი უდარდელობა ტრაქტორების რემონტის საქმეში

ყვარლის მტს-ში (დირექტორი—ამხ. ვ. ტალახაძე) სულ უნდა შეკეთდეს 63 ტრაქტორი. მეოთხე კვარტალში უნდა შეეკეთებინათ 25 ტრაქტორი, 10 დეკემბრისათვის შეკეთებულია 7, მაგრამ ეს საბოლოოდ შეკეთებულად არ ითვლება, რადგან ტრაქტორები შემმოწმებელ კომისიას არ მიუღია. მტს-ის მუშაკები თავს იმით იმართლებენ, რომ გასულ წელს ამ დროისათვის მოსამზადებელი მუშაობაც არ იყო გაშლილი და რემონტის გეგმა მაინც თავის დროზე შევასრულეთო. ეს კი თვითდამშვიდებაა. 13 ტრაქტორი დაშლილი ჰყრია ცის ქვეშ. ამ მდგომარეობაში კი დაშლილი ტრაქტორების ნაწილები გაფუჭდება. რემონტიც შეუძლებელი გახდება, რადგან სარემონტო ფარდულების მშენებლობას მხოლოდ ახლა იწყებენ. სახელოსნოს სამჭედლო დღემდე შეუკეთებელია. 7 ბრიგადის მაგიერ რემონტზე 2 ბრიგადა მუშაობს. არც კვალიფიციური კადრები ჰყავთ საკმაო რაოდენობით.

ტრაქტორების რემონტზე სოცშეჯიბრების შესახებ ბევრი ილაპარაკეს, ხელშეკრულებაც გააფორმეს ბრიგადებს შორის, მაგრამ მისი შესრულების აღრიცხვა არ ხდება.

თელავის მტს-მა (დირექტორი—ამხ. ვ. მახარობლიძე) 61 ტრაქტორი უნდა შეაკეთოს. 10 დეკემბრისათვის არცერთი ტრაქტორი არ იყო შეკეთებული.

თელავის მტს-ის მუშაკები თავს იმით იმართლებენ, რომ ავტო-სატრაქტორო მრეწველობის მთავარსამმართველოს საქ. განყოფილება საჭირო ნაწილებს არ გვიგზავნისო. საქ. მიწსახკომმა თელავის მტს-ს ტრაქტორების რემონტისათვის საჭირო თანხები ჯერაც არ გადაურიცხა. რემონტზე მომუშავეთათვის მოგვარებული არ არის საყოფაცხოვრებო პირობები. არ არის საკმარისი ბინები. ტრაქტორისტები სადილისათვის 2 კილომეტრზე დადიან. ასეთ პირობებში შრომის ნაყოფიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია. თელავის ქალაქის საბჭომ ტრაქტორისტებს იმის ნებაც კი არ მისცა, რომ მათ ქალაქის საბჭოს სასადილოში ესადილნათ. ქალაქის საბჭო სათანადოთ არ ეხმარება მტს-ს. იგი მტს-ს ნებას არ აძლევს ტრაქტორების რემონტისათვის გამოიყენოს სატრაქტორო პარკის მახლობლად მდებარე წისქვილის ძველი შენობა. ეს მაშინ, როცა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის დადგენილებით ეს შენობა დროებით თელავის მტს-ის განკარგულებაში უნდა გადაეცათ.

მ. სირაძე

გამოფენისათვის არ ემზადებიან

სტალინირი, 14 დეკემბერი (საქდესი). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან. ზნაურის რაიაღმასკომს ჯერ არაფერი არ გაუკეთებია ამ მხრივ. კიდევ მეტი, საგამოფენო რაიონული კომიტეტიც არ გამოუყვია. ლენინგორის რაიაღმასკომს დღემდეც არ ჩაუტარებია კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა თათბირი.

სამხრეთ-ოსეთის ცაკის პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, რაიაღმასკომები და სტალინირის მანქანა-ტრაქტორების სადგური გაფრთხილებული იყვნენ, რომ კოლმეურნეობებისათვის გაეცნოთ კანონი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, მიეღოთ განცხადებანი გამოფენაში მონაწილეობისათვის და სხვ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

მოსკოვი. სასტუმრო „მოსკოვი“. ხედი გორკის ქუჩიდან. „სოიუზფოტო“

მზადება მოსახლეობის აღწერისათვის

სასწრაფოდ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

(თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს პლენუმი)

13 დეკემბერს შესდგა თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს დეპუტატები, რაიონის აქტივი და მოსახლეობის აღწერის მუშაკები. პლენუმმა მოისმინა რაისაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. გარსევანიძის მოხსენება მოსახლეობის 1939 წლის საკავშირო აღწერისათვის მზადების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა.

მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ სტალინის სახელობის რაიონს მოსახლეობის აღწერისათვის მზადების საქმეში მთელ რიგ მიღწევებთან ერთად აქვს ნაკლოვანებებიც. 8 დეკემბერს დაიწყო აღმწერლების მომზადება, მაგრამ ამ მეტად პასუხსაგებ საქმეს ზოგიერთი აღმწერი და საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი არასერიოზულად ეკიდება. მაგალითად, აღმწერლებმა ტ. მაქაცარიამ, თ. თოფურიამ და ბ. ფერაძემ მეცადინეობა გააცდინეს და გამოცდა ვერ ჩააბარეს. 11 დეკემბერს მეოთხე სააღწერო განყოფილებაში მეცადინეობაზე არ გამოცხადდა 9 აღმწერი. ცეკავშირის ღვინის წარმოების დირექტორმა ამხ. ნადარეიშვილმა დაწესებულებიდან არ გაანთავისუფლა აღმწერი ამხ. ახალაძე, მაშინ როდესაც მას ინსტრუქტაჟი უნდა მიეღო. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მშველიძემ ინსტრუქტაჟის მისაღებად არ გაუშვა რამდენიმე მასწავლებელი, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ ინსტრუქტორ-კონტროლიორებად.

რაიონში ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის სახლების ნუმერაცია. ხორბლის და ბაღის ქუჩებს ჯერ კიდევ არა აქვთ წარწერა. ამ მიმართულებით სუსტად მუშაობს კომუნალური განყოფილება (გამგე ამხ. მ. კანდელაკი).

ცუდი მდგომარეობაა საბინაო დავთრების შემოწმების მხრივ. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მილიციის მეექვსე განყოფილება (უფროსი—ამხ. ფრანგიშვილი). განყოფილების ზოგიერთი მუშაკი ყოველგვარი შემოწმების გარეშე ხელს აწერს საბინაო დავთრებს, ფორმალურად ეკიდება ამ საქმეს. ამის გამო სხვაგან გადასული პირები და გარდაცვლილები ჩაწერილია რაიონის მცხოვრებთა სიაში, ხოლო ახალდაბადებული და 2-3 წლის ბავშვები არსად არ არიან მოხსენებულნი. მილიციის ზოგიერთი თანამშრომელი დახმარების ნაცვლად ხელს უშლის აღწერის მუშაკს.

მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა აღწერის მნიშვნელობასა და ამოცანებზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ყველა ზემოთაღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

ქალაქ სოხუმში

ქალაქ სოხუმის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის. დღეისათვის ქალაქი დაყოფილია ორ სააღწერო განყოფილებად და 17 საინსტრუქტორო უბნად. აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის გამოყოფილია 222 კაცი. 8 დეკემბრიდან დაიწყო აღმწერლების მასობრივი გადამზადება. ქალაქის საბჭოს მიერ განხილულ და დამტკიცებულია ქალაქის მოსახლეობის აღწერისათვის შედგენილი საორგანიზაციო გეგმა.

ჩატარებულ იქნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქალაქო თათბირი კომკავშირთან ერთად, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. ქალაქის თეატრში მოეწყო მოხსენება მოსახლეობის აღწერის საკითხებზე.

შერჩეული არიან მომხსენებლები, რომლებსაც დავალებული აქვთ ჩაატარონ სათანადო მოხსენებანი და ახსნა-განმარტებითი საუბრები მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. უკვე ჩატარდა საუბრები წარმოება-დაწესებულებებში გამოყოფილ დამხმარე კომისიების თავმჯდომარეებთან, რომლებსაც განემარტათ როგორი მუშაობა უნდა ჩაატარონ მოსახლეობაში და რა დახმარება უნდა გაუწიონ აღწერისათვის გამოყოფილ ამხანაგებს აღწერის დროს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოხუმის საქალაქო საბჭომ ვერ შესძლო დღემდე მოეგვარებინა საბინაო წიგნების წესრიგში მოყვანა. ქალაქის საბჭო და მილიციის საპასპორტო განყოფილება დღემდე დავობენ იმის შესახებ თუ რომელი მათგანია პასუხისმგებელი საბინაო წიგნების მოგვარებაში, აღნიშნული მდგომარეობა კი საქმეს აფერხებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ქალაქის მთიან ნაწილში მოუწესრიგებელია აგრეთვე სახლების ნომერაცია.

დ. სულიაშვილი

წყალტუბო

მატარებელი დილაადრიან რიონის სადგურზე ჩერდება. მცირეხნის შემდეგ წყალტუბოს ვაგონებს მოხსნიან, სხვა მატარებელს მიუბამენ და ბროწეულას სადგურიდან დაკლაკნილი რკინიგზით მგზავრები წყალტუბოს მიადგებიან. ჯერ კიდევ მისვლამდე ვაგონის ფანჯრიდან გორაკებზე თეთრი ბატკნებივით გაფანტულ შენობებს ვამჩნევ. მერე ვაგონები გაირკალებიან, შენობებს მიმალავენ და სადგურთან ისევ გამოაჩენენ.

ახლა გარკვევით ვხედავ მწვანე ტაფობს თეთრი შენობებით. ეს არის წყალტუბო. იგი თითქოს მთებიდან დაბლობში ჩაგორებულა და გობივით მორკალულ პატარა თეთრ ქალაქად გაშლილა.

ბარგს ხელში მოიმარჯვებ, ავტობუსში ჯდები და თეთრი სარტყელივით მოხვეული შარაგზით სანატორიუმისაკენ მიჰქრი.

ტაფობი მცენარეებით და დიდრონი ხის ტოტებითაა დაჩრდილული. მას წყალტუბოს ნაკადების მდინარე შუაზე გადასჭრის და გასავალში გუბის წყალს შეუერთდება. ახლა შორით მოსჩანს სადგურზე შეჩერებული ორთქლმავალი, ზანტად სივრცეში ბამბის ქულებს რომ ჰფანტავს. მოკრძალებით შემოვიდა იგი წყალტუბოში და ისევე აუხმაურებლად გასწევს ახალი მგზავრების მოსაყვანად.

თქვენ კი სანატორიუმის სუფთა გაკრიალებულ ოთახში დაგაბინავებენ, მგზავრობის მტვერისა და ჭუჭყის მოსაცილებლად ჯერ ჰიგიენურ აბანოს მიგაღებინებენ და შემდეგ თბილ აბაზანაში ჩაგიშვებენ.

ვიდრე აბაზანაში ჩახვიდოდე, ამჩნევ — ყველა ჩქარობს, ერთმანეთს ასწრებენ და ტიტვლები სწრაფად აუზში ცვივიან. ოთხკუთხიან კედლებში შეგუბებული წყალი ჯერ სარკესავით პრიალებს, მერე კი შიშველი მუხლებით ზედაპირს რომ ვასჭრიან, — აქოჩრებული ტალღები ერთმანეთში აირევიან...

სპეტაკი და გამჭვირვალე წყალტუბოს ნაკადი, ნელი ღიტინით მხრებს ეალერსება, ათბობს. მკლავებზე და მუხლებზე თეთრი ბურცულები ისე მწკრივდება, როგორც სუსხიან დილას გამხმარ ტოტებზე რთვილი.

თბილია წყალტუბოს წყალი — და ხავერდივით ლბილი. მიწის შორეული წიაღიდან მოჩხრიალებს, გარს გეხვევა, გათბობს, გეხუტება და ასე გიზიდავს, რომ წყლიდან ამოსვლა გენანება...

ოცი წუთის შემდეგ აუზიდან ამოდიხარ ნელა და ზლაზვნით, — გეძნელება მისი დატოვება. ამჩატებული ტანით ზეწარში გაეხვევი, ჩაიცვამ და გარეთ მოეშურები.

მცხუნვარე მზის სხივები თეთრი შენობების კედლებზე ბზინავენ. ყვავილებით სავსე ბაღი გიცინის, გესალმება. შედიხარ დიდრონი ხეების ჩრდილში და ნაცნობებს ხვდები.

— როდის?.. გიხდება?..

— ძალიან!.. დიდებულია!..

— რა გტკივა?.. რა გაწუხებს?..

ზოგს რევმატიზმი, ზოგს მიოკარდიტი, ამას იშიაზი, იმას ნიკრისის ქარი, ზოგს არტრიტი, ნევრალგია და სხვ.

ერთი ყავარჯნიანი ჩამოიყვანეს, — ოთხი დღის შემდეგ ყავარჯენი მოიშორა.

ერთს იშიაზი ორ დღეში გაუქრო...

წყალტუბოს ნაკადულზე ყველა ერთი აზრისაა, — უსათუოდ მარგებელია და მკურნავი...

წინათ წყალტუბო ჭაობი ყოფილა. გორაკებით მორკალული გაუვალი ჭალა დაგუბებული წყლების ოხშივარით ოდითგანვე იქცევდა სოფლელების ყურადღებას. სუსხიან დილით დაბლობში ლეჩაქის ნაფლეთებათ ორთქლი იფანტებოდა.

კურორტი წყალტუბო. კლინიკური სანატორიუმის ახალი შენობა.

ფოტო პ. ლუცენკოსი („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

○ ○

მხოლოდ ერთხელ გაბედეს მწყემსებმა ამ ჭალაში შესვლა, — დაკარგული კამეჩის საძებნელად რომ გასწირეს თავი. სუსხიანი დილა იყო და მუხლებამდის თბილ წყალში რომ შევიდნენ, — სხეულში დამატკბობელი ჟრუანტელი იგრძნეს. გუბეში ჩაწოლილი კამეჩი, აქნამდის რომ დახუთული ფეხებით იარებოდა, ახლა ხტუნვით წინ გაიგდეს.

თბილმა გუბეებმა და ბალახმა ისე მიიზიდა მწყემსები, რომ ამის შემდეგ მუდამ აქ მორეკავდნენ ხოლმე საქონელს, თვითონ წყალში ფეხებს ითბობდნენ და ნახირს მწვანე ბალახზე აძოვებდნენ... დახუთული კამეჩის მორჩენას ჰკვირობდნენ.

ერთი შემოდგომის პირად მწყემს ბიჭებს შორიდან მოსული მწყემსი მიემატა. მას მუხლების და მკლავების სახსრები ჰქონდა დახუთული და, რადგან სხვა სამუშაოს შესრულება არ შეეძლო, ბატონმა მწყემსობა მიანდო, თუმცა ქარებისაგან წართმეული ჰქონდა მოძრაობის უნარი და ჯოგის მოვლაც ეძნელებოდა. ბიჭებმა შებრალებით მიიღეს იგი და თბილი წყლების გუბეებს შესთავაზეს.

ახლად მოსულმა მტკივნეული მუხლები გაჭირვებით ჩაუშვა წყალში და როცა საამო ჟრუანტელმა სხეულში დაურბინა, მჭმუნვარე სახეზე ღიმი გამოკრთა.

დიდხანს იჯდა გაუნძრევლად. საამო და ტკბილი სითბო უვლიდა სხეულში...

ხუთი დღის შემდეგ წელში გასწორდა. მწყემსი ბიჭები გარს ეხვეოდნენ, შეანჯღრევდნენ, ეჭიდავებოდნენ, სარმას გამოჰკრავდნენ და მორჩენას ულოცავდნენ...

ჯერ მახლობელ სოფელში, შემდეგ შორეულში და მერე მთელ გურია-სამეგრელო-იმერეთში გავრცელდა ხმა ნაკადების სამკურნალო თვისებებზე, და როგორც ღლობაზე, ისე ამ წყლებზე მოდიოდა გლეხობა და იკურნებოდა ქარებისაგან და სხვა ავადმყოფობისაგან...

წყალტუბო გლეხების აღმოჩენილი კურორტია. გასულ საუკუნეებში იგი იხსენიება, როგორც მაღლაკის თბილი წყლები — „წყალთუბანი“.

მისი სახელი და დიდება გლეხებმა გაავრცელეს. იმათ ნაკადებსაც თავის სახელები უწოდეს—ერთს „დიდი აბანო“ დაარქვეს, მეორეს—„კოლდის წყალი“, მესამეს—„თავის ტკივილის წყალი“, მეოთხეს — „კუჭის წყალი“ და სხვ.

დაკვირვებით, დიდი ხნის ცდებით — გლეხები თანდათან ხვდებოდნენ და არკვევდნენ, რას უფრო უხდებოდა წყალტუბოს უცნაური ნაკადები.

ცოტა ხნის შემდეგ წყალტუბოს წყლებს მეფის მოხელეებმაც მიაქციეს ყურადღება. ექიმიც გამოგზავნეს, — გამოკვლევა დაავალეს. იმანაც გამოიკვლია, მოხსენებაც დასწერა, მაგრამ მისი შრომა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

წყალტუბოს წყლებს ისევ გლეხობა ჰპატრონობდა. თავისი ცდებით და მეთოდებით იკვლევდა მას და მკურნალობდა პრიმიტიულად. სხვა არავინ ამ წყლებს ყურადღებას არ აქცევდა... გარდა მათი პატრონისა, რომელიც თავის „კანტორაში“ იჯდა და ფულებს იჩხრიალებდა ჯიბეში...

აბანოებზე მოვიდნენ ვაჭრები და მოიტანეს ღვინო, ხორცი, ასანთი, ნავთი, საპონი და სხვ. მალე ნაკადების გარშემო გაშენდა დუქნები, სამიკიტნოები, პოლიციის ნაწილი სტრაჟნიკებით, ბაზარი, საყასბო, წვრილმანის სავაჭროები და სხვ.

აბანოები კი ისევ იმ პირობებში რჩებოდა.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მენშევიკების დროსაც.

წყალტუბო ელოდა ნამდვილ პატრონს.

და აი მოვიდა იგი... საბჭოთა ხელისუფლების დროს იწყება წყალტუბოს აღორძინება. ეს ნაკადები პატრონებს ჩამოერთვა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს გადაეცა. ამის შემდეგ წყალტუბოს დიდი გასაქანი ეძლევა.

1931 წლის შემდეგ წყალტუბოს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. მოვიდნენ მეცნიერები, მკვლევარები, ექიმები და ავადმყოფებს შეასწავლეს აბაზანების მიღების წესი. აშენდა პოლიკლინიკა, სანატორიუმები, აბანოების შენობები, საავადმყოფო და სხვ. აგრეთვე აშენდა სასტუმროები, სახლი მუშა-მოსამსახურეთათვის, სასადილო, კურზალი, ბიბლიოთეკა, კოოპერატივები, ბაზარი, თეატრი, კინო, ფოსტა-ტელეგრაფი.

აღარ არის პატარა დუქნები და სამიკიტნოები — კუდაბზიკა აზნაურები ქეიფში რომ ატარებდნენ დროს. აღარც წინანდელი აშმორებული საყასბოა, სადაც აჩონჩხილ კუნძებზე ხორცსა და ძვლებს ჰკეპავდნენ, რომლებსაც ბუზები ეხვეოდა... აღარც ხოჭოებით სავსე ფურნეა, აღარც ტალახიანი ბაზარი... ვეღარ ნახავთ ეპისკოპოსის აბანოს, ლიპიანი მღვდლები სუფთა ნაკადებს ქონიანი თმითა და მტვრიანი წვერებით რომ ჰბილწავდნენ. აღარც იოსელიანის „კანტორაა“, აბაზიანებს რომ ჯიბეში იჩხრიალებდა, გლეხებს ატყუებდა, აბანოებს კი არაფერს მატებდა. აღარც წინანდელი უსუფთაო და ჭუჭყიანი ქოხმახებია და აღარც ურმების ქვეშ ღამის გამთევი გლეხობა... აღარც აბაზანებია „ღვთის ამარად“ მიტოვებული და ექიმის გაუსინჯავ - დაურიგებლად მობანავე ავადმყოფებით...

ურმების მაგიერ ავადმყოფები მატარებლით და ავტობუსებით მოდიან, პირდაპირი ვაგონით მეორე დღესვე შეხვალთ წყალტუბოს სადგურში.

წყალტუბო გაიზარდა, და ახლა ჩვენი რესპუბლიკების ყველა წარმომადგენელს შეხვდებით აქ. მოდიან შორეული ციმბირიდან, უზბეკეთიდან, ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და სხვ.

წყალტუბო ახლა საკურორტო ქალაქია. ის გვერდში ამოუდგა ძველ კურორტებს და ბევრ მათგანს კიდეც გაასწრო. მაშინ როცა ბორჯომის, კისლოვოდსკის, მაცესტის და სხვ. წყლებს გაცხელება სჭირდება, წყალტუბოს ნაკადები ბუნებრივად თბილი მოდის წიაღიდან.

ყველა ნაკადები დაახლოვებით ერთნაირი ტემპერატურისაა — 33 გრადუსიდან 35-მდე. მისი სითბო ერთნაირია როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში, და რადგან აბანოს მიღების დროს ნაკადი შეუჩერებლად მიმდინარეობს ავადმყოფის გარშემო, მისი სხეულის ტემპერატურაც უცვლელია. ოცი წუთის განმავლობაში წყალი ერთნაირად თბილია და არ ცივდება ვიდრე ავადმყოფი აბაზანაშია...

წყალტუბოს ნაკადები შეიცავენ რადიუმის ემანაციას...

წყალტუბოს დიდი უპირატესობა სხვა კურორტების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მისი ნაკადების დებიტი 25 მილიონ ლიტრას უდრის დღეღამეში. ასეთი სამკურნალო წყლები არ მოიპოვება არა თუ საბჭოთა კავშირში, არამედ არც ევროპაში.

ამჟამად 25 მილიონ ლიტრის მაგიერ კურორტი სარგებლობს მხოლოდ 7-8 მილიონი ლიტრი წყლით. მომავალში, როცა ჩვენ წყალტუბოს ყველა ნაკადით ვისარგებლებთ, აქ გაშენდება ერთი დიდი სოციალისტური კურორტი, რომლის ბადალი არ იქნება საბჭოთა კავშირში. აბაზანების მიღება აქ შეიძლება მთელი წლის განმავლობაში, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში.

წყალტუბო შემორკალულია გორაკებით და სავსეა ბუნების მრავალნაირ მოვლენათა საკვირველებებით. გორაკებზე გაფანტულია მახლობელი სოფლები თავისი ბროწეულიანი ორღობეებით, კლდოვანი მაღლობებით და იმერული მაღალი ეზოებით.

მრავალფეროვანი იმერეთის პეიზაჟი გორაკებით, ლბილი დამაამებელი ჰავით, ვენახებით, დობილოებით, ლეღვისა და კაკლის ხეებით, ქალიშვილის ტუჩებივით დაპობილი ბროწეულებით — მოგხიბლავს და აგამღერებს...

მახლობლად არის სტალაქტიტებიანი გამოქვაბული, გზაზე შეხვდებით მიწის ქვეშ მიმავალ მდინარეს, რომელიც რამდენიმე კილომეტრის შემდეგ კლდიდან კვლავ გარეთ გამოჰქუხს... არის ტბა, ნავები... შორით ლეჩხუმისა და სვანეთის მთები, აჭარის მთები და მთებზე ამომავალი მზის სხივების ოქროს მტვერი.

ათეულ წელიწადში წყალტუბოში გაივლის ტრამვაი. გაიყვანენ ელექტროს რკინიგზას—კიდევ გაშენდება ბაღები და პარკები, მოემატება სანატორიუმები, კლინიკები და სასტუმროები... და გამარჯვებული პროლეტარიატის ხელში წყალტუბო მალე დიდი სოციალისტური მსოფლიო კურორტი გახდება.

კამათი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

პარიზი, 15 დეკემბერი (საკდესი). გუშინ შესდგა საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა. ამ სხდომაზე საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საკითხთა შესახებ ახსნა-განმარტებით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ბონე. თავის გამოსვლაში ბონე შეეხო იმ მოლაპარაკებას, რომელიც ნოემბერში სწარმოებდა პარიზში საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრებს შორის, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებას, საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციას, აგრეთვე საფრანგეთისა და იტალიის ურთიერთობას და იტალიის ფაშიზმის ტერიტორიულ პრეტენზიებს.

ბონემ საფრანგეთის მთავრობის სახელით დაადასტურა, რომ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის დელბოსის მიერ 1936 წლის 4 დეკემბერს დეპუტატთა პალატაში გაკეთებული განცხადება საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის შესახებ სავსებით ინარჩუნებს თავის ძალას.

ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ:

„საფრანგეთის მთელი ძალები სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო დაუყოვნებლივ იქნება მიმართული ინგლისის დასაცავად არაპროვოცირებული აგრესიის შემთხვევაში“.

საფრანგეთ-იტალიის დამოკიდებულების საკითხზე ბონემ განაცხადა, აქ არ შეიძლება დაშვებულ იქნას არავითარი ორაზროვნებაო.

საფრანგეთი „არასოდეს არ დასთანხმდება დაუთმოს იტალიას თავისი ტერიტორიის თუნდაც ერთი მტკაველი და საფრანგეთის ტერიტორიის დაპყრობის ყოველი ცდა შეიარაღებულ კონფლიქტს გამოიწვევს“.

შემდეგ ბონე შეეხო გერმანიიდან ლტოლვილთა საკითხსა და საფრანგეთ - სირიის ხელშეკრულების საკითხს.

საგარეო საქმეთა მინისტრის ახსნა-განმარტების შემდეგ გამოვიდნენ მთელი რიგი დეპუტატები, მათ შორის დე კერილისი, მარგენი, გრუმბახი და ტიოლა, რომლებმაც გააკრიტიკეს მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

კომუნისტმა დეპუტატმა გაბრიელ პერიმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ:

საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციით გარანტირებულია მხოლოდ საფრანგეთ-გერმანიის საზღვარი და იგი არავითარ დაპირებას არ შეიცავს კოლონიების შესახებ. პერიმ დასძინა, რომ:

ჰიტლერის მიერ საფრანგეთისათვის მიცემულ დაპირებებს ისეთივე ღირებულება აქვთ, როგორიც იმ დაპირებებს, რომლებსაც ჰიტლერი ავსტრიას აძლევდა.

იძლევა რა დაპირებას არ დაარღვიოს საფრანგეთის საზღვარი, გერმანია იმავე დროს აქეზებს იტალიას მის პრეტენზიებში, რომლებიც მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ. პერიმ მოსთხოვა ბონეს პასუხი კითხვაზე, თუ რა გავლენას მოახდენს საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაცია საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებს შორის ხელმოწერილ ურთიერთ დახმარების პაქტებზე, და კერძოდ საბჭოთა კავშირთან დადებულ პაქტზე?

შემდეგ პერიმ სთხოვა მინისტრს, დააზუსტოს საფრანგეთის პოლიტიკა ესპანეთის საკითხში.

პერის მიერ დასმული კითხვების პასუხად ბონემ განაცხადა:

რომ საფრანგეთის მიერ დადებული პაქტები ძალაში რჩება და საფრანგეთ - გერმანიის დეკლარაცია „არ ეხება საფრანგეთის მიერ დადებულ პაქტებს“. შემდეგ ბონემ სთქვა, რომ:

საფრანგეთის მთავრობა შეასრულებს თავის ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან არაპროვოცირებული აგრესიის შემთხვევაში.

ესპანეთის შესახებ ბონემ განაცხადა, რომ საფრანგეთის პოზიცია კვლავ უცვლელი რჩება. საფრანგეთი მეამბოხეებისათვის „მეომარი მხარის უფლებათა“ მინიჭების საკითხს უქვემდებარებს ესპანეთიდან უცხოელი ჯარის გაწვევის პრობლემას.

საფრანგეთის ელჩს რომში ფრანსუა პონსეს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უბრძანა არავითარი მოლაპარაკება არ დაიწყოს იტალიის ფაშიზმის ტერიტორიულ პრეტენზიათა შესახებ. საფრანგეთი უარს ამბობს თავისი ტერიტორიის ყოველსავე დათმობაზე. საფრანგეთი დარწმუნებულია, რომ მას ამ საკითხში შეუძლია ინგლისის დახმარების იმედი იქონიოს.

კომუნისტმა დეპუტატმა ფლორიმონ ბონტმა მოითხოვა, რათა **გაძლიერებულ იქნას საფრანგეთის მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებული პაქტები, განსაკუთრებით პოლონეთთან, საბჭოთა კავშირთან და რუმინეთთან. ბონტმა მოითხოვა აგრეთვე მინისტრისაგან, რათა იგი ჩაერიოს საფრანგეთიდან რესპუბლიკური ესპანეთისათვის პურის მიწოდების საკითხში. მინისტრმა თანხმობა გამოსთქვა ამაზე.**

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 14 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე ლიბერალმა მანდერმა შემდეგი შეკითხვა მისცა ჩემბერლენს: „ძალიან მნიშვნელოვნად ხომ არ მიაჩნია მთავრობას, რომ საფრანგეთმა ზუსტად იცოდეს, აღმოუჩენს თუ არა ინგლისი მას დახმარებას, თუ იტალია თავს დაესხმის კორსიკასა და ტუნისს და ხომ არ მოისურვებს პრემიერ-მინისტრი უფრო გარკვეულად განაცხადოს, თუ როგორი იქნება ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაში?“ ამ კითხვაზე ჩემბერლენმა პასუხი არ გასცა.

შეკითხვაზე: „აქვს თუ არა განზრახვა ჩემბერლენს განუცხადოს პალატას, რომ ინგლისის მთავრობა იტალიის თავდასხმას ჩვენი მოკავშირის — საფრანგეთის ყველა სამფლობელოზე განიხილავს როგორც არამეგობრულ აქტს ინგლისის მიმართ?“ ჩემბერლენმა უპასუხა: „ინგლისის მთავრობა იცავს იმ შეხედულებას, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზში სტატუს - ქვოს შენარჩუნების ვალდებულება, როგორც ეს გათვალისწინებულია ინგლის-იტალიის შეთანხმებით, ვრცელდება აგრეთვე ტუნისზედაც. მაგრამ, — დასძინა ჩემბერლენმა, —ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ იტალია თავს დაესხმის საფრანგეთის სამფლობელოებს“.

ჩეხოსლოვაკიის დეპუტატთა პალატის მღელვარე სხდომა

პრაღა, 15 დეკემბერი (საკდესი). მთავრობის დეკლარაციის განხილვამ ჩეხოსლოვაკიის დეპუტატთა პალატაში მთავრობისათვის მოულოდნელად მღელვარე ხასიათი მიიღო. მას შემდეგ, რაც სიტყვა წარმოსთქვა სლოვაკიის ნაციონალური პარტიის წარმომადგენელმა პრუჟინსკიმ, რომელმაც მოიწონა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულება, გამოვიდა დეპუტატთა პალატის კომუნისტური ფრაქციის თავმჯდომარე ზაპოტოცკი. შეეხო რა 30 სექტემბრის კაპიტულაციის მიზეზებს, ზაპოტოცკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამაში დამნაშავენი არიან არამარტო ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, რომლებმაც გასცეს ჩეხოსლოვაკია მიუნხენში, არამედ ჩეხოსლოვაკიის რეაქციული ჯგუფებიც, რომლებმაც, გამოდიოდნენ რა ვიწროკლასობრივი ინტერესებიდან, ხელი აიღეს რესპუბლიკის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. ზაპოტოცკიმ უარჰყო მთავრობისა და ფაშისტური პრესის ცილისმწამებლური გალაშქრება სსრ კავშირის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ სსრ კავშირი ბოლომდე ასრულებდა ნაკისრებ ვალდებულებებს.

მხარი დაუჭირა რა იმას, რომ უარყოფილ იქნას კანონი მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ, ზაპოტოცკიმ განაცხადა, რომ მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი მომავალშიც ყოველგვარი საშუალებით განაგრძობს ბრძოლას მშრომელთა ინტერესებისათვის.

პარლამენტმა და საზოგადოებამ დიდი ყურადღებით მოისმინეს კომუნისტი დეპუტატის სიტყვა. ზაპოტოცკი მწვავე პასუხს აძლევდა სლოვაკელ ფაშისტთა შეძახილებსა და რეპლიკებზე, რომელთა მიზანი იყო სიტყვა შეეწყვეტინებინათ ორატორისათვის.

ზაპოტოცკის შემდეგ გამოვიდა „ნაციონალური ერთიანობის“ პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ჩორნი, რომელმაც უაღრესად უფერულ სიტყვაში თავისი ფრაქციის სახელით მოიწონა მთავრობის დეკლარაცია და კანონი საგანგებო რწმუნებათა შესახებ.

დიდი სენსაცია გამოიწვია დეპუტატ შვარცის სიტყვამ. შვარცი წინათ რეაქციულ პარტიაში—„სახალხო ლიგაში“ ირიცხებოდა, მაგრამ უარი სთქვა იმაზე, რათა თავის პარტიასთან ერთად შესულიყო „ნაციონალური ერთიანობის“ პარტიაში.

თავის სიტყვაში შვარცმა მკაცრად გააკრიტიკა ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკა და „ნაციონალური ერთიანობის“ პარტიის ლიდერების ბერანისა და ჩორნის ხაზი სექტემბრის კრიზისის წინ. შვარცმა ილაპარაკა იმაზე, რომ ჩორნიმ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰენლაინელთა 12 სექტემბრის პუტჩის დროს პოლიციას უბრძანა, ჰენლაინელებს არ ესროლოთო.

შვარცმა წაიკითხა მის მიერ ფაშისტური „სახალხო ლიგის“ ლიდერის სტრჟიბრნისაგან მიმდინარე წლის 30 მარტს მიღებული წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი აყალიბებდა გადატრიალების გეგმას.

ეს ამბავი შვარცმა ჯერ კიდევ 4 აპრილის წერილით აცნობა ყოფილ პრემიერს გოჯას და ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ჩორნის. მაგრამ მათ შვარცის განცხადება მაუდქვეშ ამოსდეს. ეს წერილი ადასტურებს, რომ სექტემბერში გამომჟღავნებული შეთქმულება მთავრობის შიგნით უკვე დიდი ხანია მზადდებოდა.

შვარცმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობის პრესა ცილისმწამებლურ კამპანიას აწარმოებს საფრანგეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ.

შვარცის სიტყვამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთავრობის პარტიის წევრთა შორის. პრემიერ-მინისტრმა ბერანმა, შვარცის სიტყვის დროს დასტოვა სხდომის დარბაზი.

მთავრობის ბანაკიდან რამდენიმე დეპუტატის განცხადების შემდეგ კენჭი უყარეს კანონს მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მიცემის შესახებ.

საზღვარგარეთ

რომიდან მიღებული ცნობებით, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიანოს გამგზავრება ვარშავაში, რაც იანვრისათვის იყო განზრახული, განუსაზღვრელი დროით გადაიდო.

○

მომავალი წლის 1 იანვრიდან სწყდება გაზეთ „პრაგერ პრესეს“ გამოსვლა. ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი იქნება „პრაგერ ტაგებლატი“.

○

პრაღიდან იუწყებიან, რომ იმიერკარპატის უკრაინისა და გერმანიის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, უახლოეს დროში იმიერკარპატის უკრაინიდან გერმანიაში გაიგზავნება 2.000 მუშა, რომლებიც გამოყენებული იქნებიან საფორტიფიკაციო და სხვა სამშენებლო სამუშაოებზე.

○

ლონდონში 14 დეკემბერს გლოსტერის ფირმის 2.000 მუშამ საქარხნო კომიტეტის წევრის დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადა.

○

პარიზში შესდგა „ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესის“ საბჭოს სხდომა. სხდომას დაესწრნენ სხვადასხვა ქვეყნების 40 მილიონი ახალგაზრდის წარმომადგენლები. მიღებულია რეზოლუცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებს ესპანეთის რესპუბლიკას და მოუწოდებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეამსუბუქონ ესპანეთის ხალხის ტანჯვა, რაც ფაშისტური ინტერვენციით არის გამოწვეული.

ესპანეთის დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის შესახებ

ბარსელონა, 15 დეკემბერი (საკდესი). ესპანეთის დელეგაციის წევრები, რომლებიც მოსკოვში ოქტომბრის დღესასწაულს დაესწრნენ, თავის აღტაცებას გამოსთქვამენ იმის გამო, რაც საბჭოთა კავშირში ნახეს. მათს შენიშვნებს სსრ კავშირის შესახებ ბევრი გაზეთი აქვეყნებს. ცნობილი ჟურნალისტი როვირა-ი-ვირხილი აქვეყნებს მთელ რიგ საგზაო შენიშვნებს. მოსკოვის სიდიადით აღტაცებული იგი დღევანდელ სტატიაში სწერს ამის შესახებ. გარდა ამისა, მან „ფრენტე როხოს“ თანამშრომელს ინტერვიუ მისცა, რომლის დროსაც განაცხადა, რომ იგი დარწმუნდა, რომ ცხოვრების დონე სსრ კავშირში დასავლეთის ქვეყნების ცხოვრების დონეს აღემატება და იგი განუხრელად იზრდება. გაზეთი „ფრენტე როხო“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დელეგაციის წევრებმა, ანარქისტებმა და რესპუბლიკელებმა, თავისი თვალით ნახეს საბჭოების ქვეყნის ისეთი მიღწევები, რომელთა მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს და რომლებმაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს.

ესპანეთის დელეგაციის წევრები გამოვლენ საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მოხსენებებით.

პირველი საბჭოთა მძლავრი „ტრიპლექსი“

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში (თბილისი) აითვისეს და დაამზადეს „ტრიპლექსის“ სისტემის მძლავრი ჰიდრავლური საწნეხი მანქანა, რომელსაც ამ დღეებში გადასცემენ სამტრესტს.

ახალ მანქანას შეუძლია მიიღოს და რამდენიმე წუთის განმავლობაში დაწნეხოს 10 ტონა ყურძენი. ასეთი მანქანები შესაძლებელია გამოვიყენოთ მევენახეობის დიდ მეურნეობებში.

ახალი მანქანა, რომელიც ჩვენი მანქანათმშენებლობის მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება, იწონის 20 ტონას და ჯდება 70.000 მანეთი.

მანქანის დამზადებაზე მუშაობდნენ კონსტრუქტორები—ინჟ. ტეროგანეზოვი, ინჟ. ჯანპოლადოვი და იმავე ქარხნის მთავარი ინჟინერი ლ. აივაზოვი.

18.000 ცალი საწოლი

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში დაამუშავეს საკონტროლო დავალებები სხვადასხვა ქარხნებისათვის მათი 1939 წლის მუშაობის შესახებ.

კალინინის სახელობის ქარხანას მიცემული აქვს დავალება მომავალ წელს გამოუშვას 18.000 ცალი ლითონის მონიკელებული საწოლი, 2.000 ცალი სასწორი, 2.500 ტონა ლურსმანი და სხვ.

მიმდინარე წელს კი ეს ქარხანა იძლევა 13.000 საწოლს და 2.000 ტონა ლურსმანს.

სულ კალინინის სახელობის ქარხანა წელს ქვეყანას მისცემს 4.100.000 მანეთის (მტკიცე ფასებით) პროდუქციას, ხოლო 1939 წელს მან 4.500.000 მანეთის პროდუქცია უნდა მოგვცეს.

თბილისის მაღაზიებში მიღებულია საახალწლო ნაძვისხის შესამკობი სათამაშოები. სურათზე: კულტვაჭრობის მაღაზიის ვიტრინა რუსთაველის პროსპექტზე („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ვლადიმერ იახონტოვის გასტროლი

15 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა მხატვრული კითხვის ოსტატის წამკითხველთა სრულიადსაკავშირო კონკურსის ლაურეატის ვლადიმერ იახონტოვის პირველი გამოსვლა.

ვ. ნ. იახონტოვმა დიდი ექსპრესიით (ზეპირად) წაიკითხა ლექსად დაწერილი რომანის „ევგენი ონეგინის“ VIII (უკანასკნელი) თავი, სცენა ტაძრის მოედანზე „ბორის გოდუნოვიდან“, პოემა „გრაფი ნულინი“ და პუშკინის ლიცეის პერიოდის ლექსი „ლამაზს, რომელიც ბურნუთს ეწეოდა“.

ვ. ნ. იახონტოვმა მაღალმხატვრულად, დიდი დრამატიზმით გადმოსცა სალოსის სცენა „ბორის გოდუნოვიდან“, დიდი ჰუმორით წაიკითხა პოემა „გრაფი ნულინი“.

პროგრამის დამთავრების შემდეგ ვ. ნ. იახონტოვმა, მსმენელთა დაჟინებული მოთხოვნით, დიდი წარმატებით წაიკითხა მაიაკოვსკის ლექსი „ლამაზს“, ზოშჩენკოს „ვერაგობა და სიყვარული“, „არ გაგიშვებ“ და სხვ.

ვ. ნ. იახონტოვის მეორე გამოსვლა შესდგება იმავე დარბაზში 18 დეკემბერს და მიძღვნილი იქნება ვლადიმერ მაიაკოვსკის ნაწარმოებებისადმი. (საქდესი).

ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის კონცერტები ერევანში

ერევნის სახელმწიფო ფილარმონიის მოწვევით, საბჭოთა მუსიკის დეკადასთან დაკავშირებით, წუხელ ერევანს გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი ორდენოსან კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

17 და 18 დეკემბერს ერევნის ფილარმონიის დარბაზში გუნდი ჩაატარებს დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ორ კონცერტს.

თბილისი. სტალინის სახელობის რაიონის მე-69 საბავშვო ბაღი. გოგონა ტიკინით.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ვოკალისტების საკავშირო კონკურსი

პირველი ტური თბილისში

15 და 16 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობდა ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის პირველი გადამრჩევი ტური. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 9 მომღერალმა. კონკურსმა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი გამოავლინა. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან კონსერვატორიის უფროსი კურსის სტუდენტები.

პირველ ტურში მონაწილეობდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის არტისტები: დ. გამრეკელი, ნ. ვალაცი, გ. ლომიძე, კონსერვატორიის უფროსი კურსის სტუდენტები: გ. შმალცელი, გ. გენდიგერი, ი. ტურიაშვილი, ე. ბელინსკაია, ტ. ბახტაძე და ე. ხინჯაკაძე.

კონკურსის წესის თანახმად საკონკურსო ჟიური ამ მონაწილეთაგან შეარჩევს ყველაზე უკეთეს მომღერლებს, რომლებიც გაიგზავნებიან მოსკოვში, კონკურსის მეორე ტურში გამოსასვლელად.

სანკულტურის თეატრში

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული თბილისის სანკულტურის ქართული თეატრი მორიგ პრემიერად ამზადებს გ. თაქთაქიშვილის „ხალხის რჩეულს“. ამ დღეებში თეატრის ეს ახალი დადგმა ავტორთან ერთად გასინჯა და მოიწონა საქართველოს ხელოვნების სამმართველომ.

პიესას სდგამს სანკულტურის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ნინიძე, მხატვარი—ლ. კვირიკაშვილი, მუსიკა—ვ. კურტიდის.

პრემიერა წავა უახლოეს დღეებში.

ახალი ამბები

მზადდება და იანვრის ბოლოს გამოვა ახალი ცნობარი ქალ. თბილისის ქუჩების შესახებ. ძველი ცნობარი, რომელიც 1934 წელს იყო გამოცემული, მოძველების გამო გაუქმებულია.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ავტომატური სატელეფონო სადგურის დირექციას დასდგას ტელეფონის აპარატები თბილისის საქვეუბნო სადეპუტატო ჯგუფების ბინებზე.

სასამართლო

აბორტმახერი

სიმონ კონსტანტინეს ძე ცაგარეიშვილი 1935 წელს გაეცნო თბილისის [illegible] საქსოვი ფაბრიკის თანამშრომელ ქალს ევგენია იავრიანს. მათ შორის მალე რომანი გაიმართა; ისინი ხშირად დადიოდნენ ბაღებში, კინოებსა და თეატრებში.

მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ქალი დაორსულდა. მან მოითხოვა ვაჟისაგან ცოლქმრული დამოკიდებულების სათანადო აქტით გაფორმება მმაჩში. მაგრამ ეს უკვე აღარ მოეწონა ცაგარეიშვილს.

— მე შენი რჩენისა და შენახვის თავი არა მაქვს, როგორც გინდა, ისე მოიქეცი, — უპასუხა მან ე. იავრიანს. ახლა კი იგრძნო გაწბილებულმა ქალმა, თუ რა ადამიანთან ჰქონდა საქმე, მაგრამ გვიანღა იყო და გადასწყვიტა მუცლის მოშლა.

ე. იავრიანის მუცლის მოშლის საქმეში აქტიური დახმარება გაუწია მისმა ამხანაგმა თამარ არჩვაძემ, რომელმაც ის წაიყვანა თავის ნაცნობ ექიმ კირილე თეიმურაზის-ძე თოფურიძესთან. ექიმმა ე. იავრიანს არაჰიგიენურ პირობებში გაუკეთა აბორტი, რის შედეგად ევგენია იავრინა გარდაიცვალა.

სამ დღეს (9, 10, 11 დეკემბერს) საჩვენებელი პროცესით არჩევდა ამ საქმეს კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო ამხ. ი. რეხვიაშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ამხ. გ. ვადაჭკორიას მონაწილეობით. აბორტმახერ თ. თოფურიძეს სასამართლომ მიუსაჯა 6 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამოქალაქო უფლებების აყრა 3 წლის ვადით, თამარ არჩვაძეს მიუსაჯა 3 წლით პატიმრობა და სიმონ ცაგარეიშვილს — 2 წლით.

მ. სურგულაძე

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0714288, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ივანე პორფილეს-ძე სამხარაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 2844515, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ერმიგონ ილიას-ძე ფუტკარაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0711551, გაცემული ამავე რაიკომის მიერ გალინა სიმონისასულ ვადაჭკორიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

◆

ქვანახშირი და მარგანეცი

16 დეკემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული (დ. ჩიქვაიძე)	1012	1128	111,5
ტყვარჩელი (ს. ვორობიოვი)	731	585	80
ჭიათურა (გ. ანდღულაძე)	5530	4937	89

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

ყოველდღე სწარმოებს ინდივიდუალური კონსულტაციები ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაციები სწარმოებს დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე, ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

17/XII	18/XII	20/XII
მუდმ. ადგ. ტალ. № 50 აბ. № 6 **კარმენ**	მუდმ. ადგ. ტალ. № 51 **დაისი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 52 აბ. № 5 **წუნარი ლონი**

დასაწყისი 8 საათზე

აბონენტები, რომლებიც არ შემოიტანენ მესამე გადასახადს თავისი წარმოდგენის დღის 3 საათამდე, ჰკარგავენ უფლებას თავის ადგილებზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

17/XII	წარმოდგენა 74 **ოტელო**
18/XII	დღისით 2 აბ. 4 წარმოდგენა **სულელი**
18/XII	წარმოდგენა 75 **სულელი**

მორიგი პრემიერა ნ. პოგოდინის—**თოფიანი კაცი**

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

17/XII	**ფიგაროს ქორწინება**
18/XII	**მ უ რ ი**
18/XII	დღისით **კოლმეურნის ქორწინება**

დასაწყისი 8 საათზე.

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

19 წლისათვის 39

მიიღება ხელისმოწერა

ყოველთვიურ ჟურნალ

„საბჭოთა მედიცინაზე“

(ჯანსახკომისა და სამედიცინო ინსტიტუტის ორგანო)

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:

თეორიული და კლინიკური მედიცინა,

საზოგადოებრივი მედიცინა,

პრაქტიკული მედიცინა,

მიმოხილვები,

კორესპონდენციები,

რეფერატები,

ბიბლიოგრაფია,

ოფიციალური დადგენილებანი,

ქრონიკა.

ჟურნალის ფასი:

1 წლით—18 მან., 6 თვით—9 მან., ცალკე ნომერი—1 მ. 50 კ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძნელაძის ქ. № 24, ტელ. 3-68-53.

396

სახელმწიფო სომხური დრამის შენობაში შაუმიანის ქ. № 8

დღეს, 17 დეკემბერს, პრემიერა

თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამის თეატრი

უ. ჰაჯიბეკოვი

არშინ-მალ-ალან

მუსიკალური კომედია 4 მოქმ.

დადგმა ი. ისფაგანლის (სახალხო არტისტი), მხატვარი ი. იაკაშვილი.

დასაწყისი 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. 17216

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1939 წ. 11 იანვარს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად პ. ნ. თავხელიძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1905 წ. რევოლუციაში საქართველოში“.**

ოპონენტები: პროფ. გ. ხაჭაპურიძე

დოც. პ. გუგუშვილი.

1400 **რექტორის მოადგილე ხაჭაპურიძე.**

საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი

ზუგდიდის სატყეო მეურნეობის ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

(ათას მანეთებში)

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯ ა მ ი
1	ძირითადი საშუალებანი	137,7
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	30,0
3	დაუმთავრებელი წარმოება	170,2
4	საქონელი და მზანაწარმი	199,8
5	საქონელი, მყიდველების მიერ გაუნაღდებელი	138,4
6	ფულადი საშუალებანი	91,9
7	ანგარიშსწორებანი (დებიტორები)	3,0
8	განყენებული საშუალებანი	44,2
	ბ ა ლ ა ნ ს ი	815,2

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯ ა მ ი
1	საწესდებო ფონდი	29,0
2	დირექტორის ფონდი	71,1
3	სხვა სპეციალური ფონდები	8,0
4	რეზერვები და მოსალოდნელი გადასახდელები	84,0
5	მომწესრიგებელი მუხლები	15,4
6	ანგარიშსწორებანი	422,2
7	1937 წლის დაგროვებანი	185,5
	ბ ა ლ ა ნ ს ი	815,2

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში.

1.	სხვადასხვა დანაკარგები	29,5
2.	დაგროვების ნაშთი	185,5
	ბ ა ლ ა ნ ს ი	215,0

1.	დაგროვება რეალიზაციით	213,8
2.	სხვა დაგროვებანი	1,2
	ბ ა ლ ა ნ ს ი	215,0

დირექტორი **კანდელაკი.** მთავარი ბუხჰალტერი **ფარცხვანია.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სსრ სატყეო მრეწვ. სახალხო კომისარიატის საბალანსო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1750 საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი ბუხჰალტერი **ბოგდანოვი.**

საქ. სარეწაო საბჭოში შემავალ არტელ საქფოტოს დასკვნითი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯ ა მ ი
1	ძირითადი საშუალებანი	80.777
2	ნედლეული და მასალები	10.362
3	მცირეფასიანი ინვენტარი	41.588
4	ფულადი საშუალებანი	7.836
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	13.756
6	ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშით	2.047
7	განყენებული საშუალებანი	18.2-0
8	ხარჯები ფონდების ანგარიშით	1.562
9	დანაკარგები	28.018
	ბ ა ლ ა ნ ს ი	204.196

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯ ა მ ი
1	ფ ო ნ დ ე ბ ი	88.025
2	გრძელვადიანი კრედიტები	41.410
3	ანგარიშსწორებანი	74.761
	ბ ა ლ ა ნ ს ი	204.196

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ზარალი რეალიზაციით	28.205
2.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	4.572
	ს უ ლ	32.777
	ბ ა ლ ა ნ ს ი	32.777

1.	სხვადასხვა შემოსავალი	4759
	ს უ ლ	4 759
2.	დანაკარგები	28.018
	ბ ა ლ ა ნ ს ი	32.777

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1938 წ. 2 თებერვალს.

არტელის თავმჯდომარე **მ. ამირბეკოვი.** მთ. ბუხჰალტერი **თ. ნიკოლაიშვილი.** 1757

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Ე—246